140
1958/3

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პიონერი

10
ოქტომბერი
1958




ჩვენ ლენინელები ვართ!




## საკავშირო ალკკ წევრის ახალი სამკერდე ნიშანი

საკავშირო ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა მხარი დაუჭირა მრავალრიცხოვანი კომკავშირლებისა და კომკავშირული ორგანიზაციების სურვილს და დაამტკიცა საკავშირო ალკკ წევრის სამკერდე ნიშნის ახალი ნიმუში.

ახალი სამკერდე ნიშანი წარმოადგენს ტარიდან მარჯვნივ გაშლილ დროშას. დროშაზე აღბეჭდილია ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის ბარელიეფი და წარწერა «საკ. ალკკ» დროშის ზედაპირი დაფარულია ლალისფერ-წითელი მინანქრით.

საკავშირო ალკკ წევრის სამკერდე ნიშნებს კომკავშირის რიგებში მიღებულ ახალგაზრდებს კომკავშირულ ბილეთთან ერთად მისცემენ კომკავშირის რაიკომის. ქალაქკომის მდივნები.

ჭაბუკებსა და ქალიშვილებს რომლებიც უკვე არიან კომკავშირის წევრები, ახალი სამკერდე ნიშნები საზეიმო კითარებაში გადაეცემათ კომკავშირულ კრებებზე. საკავშირო ალკკ წევრის სამკერდე ნიშანს მკერდის მარცხენა მხარეზე ატარებენ.










# კომკავშირი

კომკავშირი! შევარდენთა სანავარდო,
განთიადი, მოლაჟღაჟე ვარდისფერად,
მზის ბაღნარი სამაისო და სავარდო,
სიხარული, სიყვარული და სიმღერა!

კომკავშირი! ორმოცი წლის ახალგაზრდა!
ბრძოლით განვლო გზა მიზნისკენ დასახული,
კიდევ უფრო გასხივოსნდა, გალამაზდა,
გაიფურჩქნა ჩვენი ქვეყნის გაზაფხული!

აგებს ქარხნებს, ღუმელებში ადნობს ფოლადს,
დასტრიალებს ახალ სახლებს თუ ხარაჩოს,
ცაში დაჰქრის, უხარია მზისკენ სრბოლაც,
საზღვარზე დგას, რომ მშვიდობას უდარაჯოს!

ებრძვის გვალვას, და უდაბნოც მისგან იხსნა,
გასტეხს ყამირს,—ოქროს ბაღნარს დაადარებს
და ორდენებს, ბრძოლისა და შრომის ნიშნად,
ამაყ მკერდზე ვარსკვლავებად დაატარებს!

საყვარელო! ლექსს მოგიძღვნი გრძნობით ნაქსოვს,
ყველა შენი გამარჯვება გამიხარდეს,
მოდგმიდანვე შენი ტკბილი ზრუნვა მახსოვს,
სიყრმის კერა. არ იქნება არ მიყვარდეს!

იცოცხლე და იხალისე! ხარ დღეგრძელი,
მხნედ იარე! კომუნიზმის გზა ეს არი,
იზეიმე დაბადების დღე და წელი,
მრავალ ასეთ დღესასწაულს დაესწარი!

ელიო მირცხულავა






ეროვნული ბიბლიოთეკა

# პიონერი

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და ვ. ი. ლენინის სახელობის ნორჩ პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი

10
ოქტომბერი
1958

გამოცემის წელი
XXXII

## შინაარსი

გვ.
ალიო მირცხულავა — კომკავშირი (ლექსი გარეკანის) . . . . . . . . 2
ედუარდ შევარდნაძე — სახელოვანი იუბილარი (წერილი) . . . . . . . . 2
ალექსანდრე საჯაია — ბორის ძნელაძის ძეგლთან (ლექსი) . . . . . . . . 4
ოთარ შალამბერიძე — სიმღერა კომკავშირის დაბადებისა (ლექსი) . . . . . . . . 4
დავით ლომაძე — საქართველოს კომკავშირის წარსულიდან (მოგონება) . . . . . . . . 5
გრიგოლ იმედაძე — ახალგაზრდა გვარდია, სიმღერა (ლექსები) . . . . . . . . 9
ტატიანა კონნიკოვა — საფეხურიდან საფეხურზე . . 10
სერგეი ესენინი — ბალადა ოცდაექვსზე (ბალადა, თარგმნა მ. ლებანიძემ) . . . . . . . . 14
გურამ გოგიაშვილი — კომკავშირის 40 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა (წერილი) . . . 16
რევაზ თვარაძე, არჩილ სულაკაური — ჩვენი ეზო (მოთხრობა) . . . . . . . . 18
ზურაბ ლეშკაშელი — მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადა (ნარკვევი) . . . . . . . . 25
სამი ოქროს ქანდაკება (ინდური ზღაპარი, თარგმნა ლ. კიკვაძემ) . . . . . . . . 27
ალ. ხოსროევი — სტუმრად ჩეხოსლოვაკელ პიონერებთან (წერილი) . . . . . . . . 28
მოკლედ ყველაფერზე . . . . . . . . 28
აკაკი გელოვანი — რანკეს სარკე (ზღაპარი) . . . 29
გასართობი . . . . . . . . 32
მოკლედ ყველაფერზე . . . . . . . . 32
კომკავშირული მგზავრული (სიმღერა. მუსიკა ო. თაქთაქიშვილისა, ტექსტი მ. ფოცხიშვილისა).









გარეკანის პირველი გვერდის მხატვრობა ეკუთვნის ირ. გორდელაძეს, გარეკანის მეოთხე გვერდზე სომეხი მხატვრის ა. ასლანიანის პლაკატი „არა!“

ჟურნალი დასურათებულია: დ. ჭაჭუტაშვილის, ნ. შალიკაშვილის, ირ. გორდელაძის, ლ. ცუცქირიძის და რ. ცუცქარიძის მიერ.

რედაქტორი რევაზ მარგიანი
სარედაქციო კოლეგია: შ. ბერიანიძე
რ. ელანიძე, მ. ლებანიძე (პ/მგ. მდივანი)
მარიჯანი, რ. ქორქია, გ. ფოცხიშვილი
(სამხატვრო რედაქტორი).

ხაგლიტგამი

საქ. სახელმწიფო
საჯარო ბიბლიოთეკა
თბილისი



# სახელოვანი იუბილარი

ედუარდ შევარდნაძე,
საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის
პირველი მდივანი.

კარზეა დიდი დღესასწაული. 29 ოქტომბერს სრულდება 40 წელი ლენინური კომკავშირის დაარსებიდან. კომკავშირის ორმოცი წლისთავი არამარტო ახალგაზრდობის,—მთელი ჩვენი ქვეყნის, მთელი საბჭოთა ხალხის ღირსშესანიშნავი დღესასწაულია. ისევე, როგორც კომკავშირი, თქვენი პიონერული ორგანიზაციაც დიდი ლენინის სახელს ატარებს და ამიტომ კომკავშირის ორმოცი წლისთავი თქვენი დღესასწაულიცაა, პიონერებო.

კომკავშირი—ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირი,—შეიქმნა 1918 წელს, დიდი ბელადისა და მასწავლებლის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის ინიციატივით. ორმოცი წელი გავიდა მას შემდეგ. კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით კომკავშირმა შრომისა და ბრძოლის სახელოვანი გზა გაიარა და ხუთი ორდენით შეამკო თავისი დროშა.



მღელვარე საკითხები იდგა პირველი ხუთწლედების კომკავშირულ კრებებზე.

იყო დრო, როცა კომკავშირში შესვლა ფრონტზე წასვლას ნიშნავდა. მძვინვარებდა სამოქალაქო ომისა და ინტერვენციის საშინელი წლები. ათასობით ჭაბუკი და ქალიშვილი შედიოდა კომკავშირში, კომკავშირულ ბილეთთან ერთად იღებდა იარაღს და ახალგაზრდა საბჭოთა ქვეყნის დასაცავად პირდაპირ ფრონტზე მიემგზავრებოდა.

სამოქალაქო ომსა და ინტერვენციას ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივიზაციის წლები მოჰყვა. ფეხზე დგებოდა ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფო, აწესრიგებდა შინამეურნეობას და სოციალიზმის მშენებლობის დიად გეგმებს სახავდა. ამ პერიოდშიც სოფლად თუ ქალაქად კომკავშირმა თავი ისახელა გმირული შრომით, მხარში უდგა მშობლიურ პარტიას სოციალისტური მშენებლობის დიდ საქმეში.

გადიოდა წლები. კომკავშირმა დიდი სიყვარული და ავტორიტეტი მოიპოვა ხალხში. პარტია, მთავრობა და ხალხი მადლობითა და სიამაყით ახსენებდა კომკავშირს, მზრუნველობასა და ყურადღებას არ აკლებდა მას. დაიწყო დიდი სამამულო ომი—უდიდესი გამოცდა კომკავშირისა და ჩვენი საბჭოთა ახალგაზრდობისა. ეს გამოცდა

კომკავშირმა თავისი წვლილი შეიტანა სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების საქმეში.



მან ბრწყინვალედ ჩააბარა. ფრონტზე თუ ზურგში უმაგალითო საგმირო საქმეები გვიჩვენა კომკავშირმა. ზოიასი და ოლეგის, ჩეკალინისა და მატროსოვის, რუხაძისა და გასტელოსი — რომელმა თქვენგანმა არ იცის სამშობლოსათვის თავდადებულთა უკვდავი საქმეები!

მაგრამ არანაკლები თავდადება და გმირობა გამოიჩინა კომკავშირმა ომისშემდგომ პერიოდში, ჩვენი მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის აღსადგენად და გასანვითარებლად. როგორც ყოველთვის, კომკავშირი ერთსულოვნად გამოეხმაურა ახალ, დიდ სახელმწიფოებრივ ღონისძიებებს. პარტიის მეოცე ყრილობის მოწოდებაზე, ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთ რაიონების ასათვისებლად ასიათასობით ახალგაზრდა პატრიოტი გაემგზავრა და გმირული შრომის მაგალითებს გვიჩვენებს.

ასეთია კომკავშირი—საბჭოთა ხალხის ღვიძლი შვილი და კომუნისტური პარტიის ღირსეული თანაშემწე. იგი პარტიის ხელმძღვანელობით მუშაობს, მისგან სწავლობს, მაგრამ თავის მხრივ პარტიისაგან თქვენი აღზრდა აქვს დავალებული—თქვენი ხელმძღვანელი და მასწავლებელია, პიონერებო.

და თქვენც სწავლობთ მისგან—ლენინური კომკავშირისაგან. გასწავლით იგი არა ლიტონი სიტყვით და დარიგებით, არამედ საქმით, თავისი ყოველდღიური ცხოვრებით, თავისი დღევანდელი შრომით, თავისი წარსული ბრძოლებით, თავისი სახელოვანი ისტორიით.

ემზადებოდით რა კომკავშირის ორმოცი წლისთავისათვის, ჩვენი რესპუბლიკის სკოლებსა და პიონერულ ორგანიზაციებში დიდი მუშაობა გქონდათ გაჩაღებული სახელოვანი იუბილარის ისტორიის შესასწავლად. აწყობდით კომკავშირის ისტორიის ცალკეული საკითხებისადმი მიძღვნილ შეკრებებს რაზმებსა და რაზმეულებში, იწვევდით შეკრებებზე ძველსა და ახალ გამოჩენილ კომკავშირლებს, კითხულობდით ლიტერატურას კომკავშირის შესახებ, სწავლობდით კომკავშირულ სიმღერებს. ცხადია, ასეთ მუშაობას კვლავაც განაგრძობთ და გულდასმით შეისწავლით კომკავშირის ისტორიას.

რამდენ საინტერესო, ამაღლებელ ფურცელს ამოიკითხავთ კომკავშირის გმირულ მატიანეში! თვალწინ დადგებიან სამოქალაქო ომის ცეცხლში გამობრძმედილი კომკავშირელი ვაჟკაცები, პირველ ხუთწლედთა თავდადებული პატრიოტები, დიდი სამამულო ომის მკლავშემართული ჭაბუკი გმირები, წარბშეკრული იატაკქვეშელი კომკავშირელები, ყამირისმტეხელი ენთუზიასტი მოლაშქრეები... დაბოლოს, ჩვენი რესპუბლიკის პიონერებისათვის საინტერესოა, აგრეთვე, საქართველოს კომკავშირის ისტორია: ბორის ძნელაძისა და მის თანამებრძოლთა ცეცხლიანი ცხოვრება, მათი მამაცური ბრძოლა და მუშაობა საქართველოში მენშევიკების ბატონობის დროს და შემდეგ პერიოდშიც.

ძვირფასო მეგობრებო, პიონერებო და მოსწავლეებო! ორმოცი წელია ლენინური კომკავშირის დაარსებიდან. სახელოვან იუბილარს სიყვარულით ესალმება მთელი საბჭოთა ხალხი. ამ ზეიმზე თქვენი სიმღერაც გვესმის, თქვენი პიონერული სალუტი და დაპირება. იყავით ლენინური კომკავშირის ღირსეული ცვლა, იყავით ღირსეული მემკვიდრენი სახელოვანი ტრადიციებისა, რომლებიც თაობიდან თაობას გადაეცემა.



ეროვნული ბიბლიოთეკა



☆

ხანმოკლე იყო ალექსანდრე საჯაიას სიცოცხლე (1916—1944). მაგრამ ეს სიცოცხლე პოეტმა საყვარელ სამშობლოზე სიმღერას მოანდომა. პოეტური ოსტატობით დაწერილი მისი ლექსები მუდამ იქცევდა მკითხველთა ყურადღებას.

კომკავშირმა გაზარდა და დაავაჟკაცა ალექსანდრე საჯაია. მიტომაც მრავალი სიყვარულით გამთბარი ლექსით უმღერა პოეტმა ჩვენს ახალგაზრდობას, გმირულ კომკავშირს. მათგან საუკეთესოა ლექსი, რომელიც საქართველოს კომკავშირის პირველი ხელმძღვანელის — ბორის ძნელაძისადმია მიძღვნილი.

☆

# ბორის ძნელაძის ძეგლთან

ალექსანდრე საჯაია

ათოვს ღამეს და თეთრდება.
ტანდაყურსულ ნაძვებს სცივათ;
ფოთლებიდან ნაფლეთებად
გაცრეცილი ბინდი ცვივა.

ჭირხლიანი ღამე ურჩობს,
შლეგი ქარი კვნესის მწარედ,
კვიპაროსის უცხო ჩურჩულს
ქარიშხალი ასამარებს...

ის კი, მარად მხრებგაშლილი,
ეგებება ქარს და ყინვას,
მთვარეც დაშნის ქარქაშივით
დავერცხლილი თეთრად ბზინავს

ის მუნჯ ქვისგან გამოჭრილი
გადაჰყურებს ტანთეთრ მხარეს.
მისი შუბლის ნაოჭივით
შეჰმუხნულა ზამთრის ღამე.

მხრებს ფანტელი ეფანტება
და ქვის სახეს სუსხავს თითქოს,
ქვა ქვებიდან მონამტვრევი
თითქოს ფრონტზე
დგას და ფიქრობს

აგონდება ცეცხლის ენა,
ჰორიზონტზე წამლის ბური,
შორეული ტყვიის სტვენა
თუ ცხენების თქარათქური...



ოთარ შალამბერიძე

# სიმღერა კომკავშირის დაბადებისა

დაიბადა ქარ-ცეცხლში
მებრძოლ კომუნისტებთან.
ტკბილი ზღაპრის მაგიერ
მხოლოდ „ვაშას“ ისმენდა.

დაიბადა გრიგალში
გრიგალივით მაგარი.
ხალხის გულში დაირწა
მისი რკინის აკვანი.

ჩააბარეს შაშხანა,
ჩააბარეს ნამგალი,—
ბრძოლაშიც და შრომაშიც
არ ჰყავდესო ბადალი!

გადაადნეს ფოლადი,
საგულეში ჩაუდვეს,—
ყველა ურჩს და გარეწარს
რომ უშიშრად დაუხვდეს.

აუხილეს ცხრა თვალი,
გამოაბეს ცხრა ხელი;
საბრძოლველად მზად არი,
ოღონდ არ აქვს სახელი.

ოღონდ არ აქვს სახელი —
მუდამ მტერთა მზრახველი;
ბრძოლის გამომსახველი,
შრომის გამომსახველი.

რა დავარქვათ ისეთი,—
ცას მზესავით გაეკრას;
რკინის ჭაბუკი არი,
რკინის ჭაბუკს რა ერქვას?!

მერე... ტაშის გუგუნში,
ზარბაზნების გრუხუნში,
დაადგინეს და ერთხმად
კომკავშირი დაერქვა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავით ლომაძე

ნახ. ნ. შალიკაშვილისა

# საქართველოს კომკავშირის წარსულიდან



☆

**ამ მოგონების ავტორი დავით ვლადიმერის-ძე ლომაძე 1917 წლიდან კომუნისტური პარტიის წევრი და საქართველოში ახალგაზრდული ბოლშევიკური ორგანიზაციის „სპარტაკის“ ერთ-ერთი ხელმძღვანელია. საქართველოში მენშევიკების ბატონობის წლებში მუშაობდა „სპარტაკის“ ქუთაისის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარედ და პარტიული კომიტეტის წევრად, მონაწილეობდა რევოლუციურ ბრძოლებში, რასაც საქართველოს ბოლშევიკები აწარმოებდნენ მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ.**

**აქ მოთხრობილი ეპიზოდი ეკუთვნის საჩხერის 1918 წლის აჯანყებას, რომელიც, აგრეთვე, ბოლშევიკების მიერ იყო ორგანიზებული. როგორც სხვა ბრძოლებში, აქაც, საჩხერის აჯანყებაში, საქართველოს ბოლშევიკებს მხარში უდგნენ ახალგაზრდა სპარტაკელები. აჯანყება დამარცხებით დამთავრდა, მაგრამ ამ ბრძოლებში თავი ისახელა ახალგაზრდობამ. ვანო სტურუამ ბოლშევიკების ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტის სხდომაზე, 1918 წელს, როცა აჯანყების შედეგებს იხილავდნენ, ხაზგასმით აღნიშნა სპარტაკელი ახალგაზრდების თავგანწირული ბრძოლა. იგივე იყო აღნიშნული მაშინდელ პროკლამაციებში.**

**ქვემოთ ვბეჭდავთ ძველი რევოლუციონერისა და სპარტაკელის—დავით ლომაძის მოგონებას.**

☆

1918 წელს დაიწყო საჩხერის აჯანყება. ბოლშევიკებმა ორი ბრძოლით აიღეს საჩხერე და ჭიათურაზე იერიშის მისატანად შეუდგნენ მზადებას. მენშევიკებმა თავიანთი ძალების სწრაფი მობილიზაცია მოახდინეს; ქუთაისისა და ზესტაფონის მენშევიკური გვარდია საჩხერის მისადგომებთან გამაგრდა.

მენშევიკური მთავრობა დროს არ კარგავდა. მათი სამხედრო მინისტრის განკარგულებით ქუთაისის მეოთხე ბატარეა, პოლკოვნიკ იშხნელის მეთაურობით, სოფელ საირხესთან განლაგდა და ქვემეხებიდან აჯანყებულთა პოზიციების დაბომბვას შეუდგა. მენშევიკებმა არ იცოდნენ შებრალება. მათი გვარდიელები ადგილზე ხვრეტდნენ ყველა შენიშნულს.

კაპიტანი ბრეგვაძე მეთაურობდა დამსჯელ რაზმს. ძვირად დაუჯდა მას აჯანყებულთა დევნა, სოფელ დარკვეთთან ჩასაფრებულმა ბოლშევიკურმა რაზმმა ის თავისი ჯგუფით სიცოცხლეს გამოასალმა.

საჩხერეს სამი მხრიდან რკალი აქვს შემორტყმული. მარტო ალმოსავლეთის მხარეა თავისუფალი. აქ ბოლშევიკური რაზმები გვარდიელებს წინ წაწევის საშუალებას არ აძლევენ.

აჯანყებულთა სამხედრო შტაბი ახალ განკარგულებებს იძლევა.

ძველ ბოლშევიკს კოტე გაბარაშვილს დაევალა ჩაატაროს მეტად საპასუხისმგებლო ოპერაცია. იგი სოფელ დარკვეთის მხრიდან უნდა გადავიდეს მდინარე ყვირილის მარცხენა ნაპირზე, ჩიხის მიმართულებით მენშევიკების გვარდიელების გაშლილ ფრთას ზურგში მოექცეს და იქ ლადი ვაშაძის ჯგუფს მაქსიმის სისტემის ტყვიამფრქვევი წაართვას. ეს ამოცანა აუცილებლად უნდა იქნეს შესრულებული—აჯანყებულებს მხოლოდ ერთი ტყვიამფრქვევი გააჩნიათ, მენშევიკებს კი—ათობით.

გაბარაშვილმა მიიღო დავალება და შეუდგა მზადებას. მან დარკვეთის მუხნარში შეკრიბა თავისი ჯგუფის მონაწილე გამოცდილი ბოლშევიკები, მათ შორის „სპარტაკელებიც“ ვართ—მე და კიდევ რამდენიმე ახალგაზრდა ბოლშევიკი „სპარტაკის“ ქუთაისის კომიტეტიდან. დარკვეთი მენშევიკების ხელთ იყო და იქ შეუმჩნევლად თავმოყრა მეტისმეტად ძნელი გახდა. მაგრამ დავალება შესრულებული იქნა ღამის ორ საათზე ყველა დანიშნულ ადგილზე გამოცხადდა.

ღამის წყვდიადში. და ისიც ტყეში. ძნელია ამხანაგების გარჩევა. კოტე დაბალი ხმით კითხულობს: „ყველანი ვართ?“ პასუხი: „მგონი ვართ“. კოტე ფრთხილი მომუშავეა. მან იცის კონსპირაციული მუშაობის წესები. თერთმეტი ამხანაგი უნდა გადაითვალოს. ბიკენტის დაავალა გადათვლა. საშინელება! — თერთმეტის ნაცვლად თორმეტი კაცია. ვიღაც მეთორმეტე ზედმეტია. „ღალატი!“ —ელვის სისწრაფით გაუელვა ცხრაასხუთელ რევოლუციონერს. ნეტა ვინ გასცა?! გადაწყვეტილებაც სწრაფია: მოპარულ მტერს სიკვდილი! ამოცანა არ მოიხსნება,—ოღონდ დაცემის გეგმა უნდა შეიცვალოს. მან თვითონ დაიწყო გადათვლა. გადათვლილები ცალ მხარეს დააყენა. ღამის წყვდიადი ძელს უშლის გაარკვიოს

ვინ არის მეთორმეტე. თერთმეტი გადაითვალა, მეთორმეტე გაქრა, მოღალატემ არ დაუცადა. ო, მოტყუვდა ძველი რევოლუციონერი! ყველაფერი ჩაიშალა. რაღაც გაურკვეველმა შიშმა მოიცვა ყველა — ღამე აძლიერებს ამ შიშს, იქნებ მარტო ერთი როდია მტერი? იქნებ გარშემორტყმულიც არიან! შიში თავისას აკეთებს. ყველაზე ძნელი ღალატით სიკვდილია. სიჩუმე კოტემ დაარღვია:

— ვინ არის ზედმეტი, ვინ არის მეთორმეტე?! — სთქვა მან ოდნავ აწეული ხმით.

— მე ვარ, — გაისმა ღამის წყვდიადში წკრიალა ხმა.

— ვინა ხარ შენ? — რევოლვერი მოიმარჯვა გაბარაშვილმა.

— ტყემალაძე ვარ...

ყველას მოეშვა. იციან ეს გვარი წითელმა პარტიზანებმა. გაბარაშვილმა წინ წაიწია და მომართული რევოლვერი ძირს დახარა:

— რომელი ტყემალაძე, ბიჭო?!

— ბიძია კოტე, მე ვარ, პავლე წყალს რომ გიზიდავდით, სოფლიდან ჭადები რომ ჩამომქონდა. მე შენი წერილები ჭიათურაში ჩამაქვს ალექსანდრე ვაშაძესთან და...

— ჩუმად! ხმამაღლა ლაპარაკობ! მოდი ჩემთან!

ღამის წყვდიადში გაბარაშვილის წინ პატარა სილუეტი დადგა. კოტემ ხელი თავზე დაადო და ბიჭენტის მიუბრუნდა:

— შენ, რომ ითვლიდი, ბოვში დიდისგან ვერ გაარჩიე?!

— ბნელა, ამხანაგო კოტე.

— ბიჭიკო, — ჩუმად განაგრძობს გაბარაშვილი, — შენ აქ რა გინდა, რატომ არ შემეკითხე, თუ ჩემთან მოდიოდი. ან საიდან გაიგე, რომ აქ უნდა შევკრებილიყავით?

— შენ არ დამავალე ჭიათურაში ჩადი და ბიტოლია ლეჟავას გადაეცი საღამოს, როცა დაბნელდება, დარკვეთში ჩამოვიდესო?!

— დარკვეთი დიდია, რა იცოდი, რომ ამ ადგილას უნდა მოსულიყო?

— მე ბიტოლიას დარკვეთამდე ჩამოვყევი: თუ დაიჭერდნენ, ჭიათურაში უნდა მიმეტანა ამბავი. მე... რას ეძახით თქვენ იმას... მეთვალყურე ვარ... ბიტოლიას მეთვალყურედ გამომაყოლეს დარკვეთამდე. დარკვეთში ბიტოლიამ მითხრა უკან წადიო... — პატარა ბიჭი შეჩერდა.

— მერე, მერე!

— მერე, მე არ წავედი და, როცა ბიტოლია დარკვეთის აღმართს შეუდგა, უკან შეუმჩნევლად გამოვყევი. ვიცოდი რაღაც განსაკუთრებული იყო, ვიფიქრე, იქნებ მეც გამოვადგე-თქვა.

— ბიტოლია, ეს ბიჭი შენ გამოგყვა?

— როგორც ჩანს, გამომყოლია.

— ცუდი კონსპირატორი ყოფილხარ. ასეთ საქმეზე მოდიხარ. უკან კაცი მოგდევს, ვერ შეამჩნიე?

— კაცი მოგდევსო? — გაიმეორა ბიტოლიამ. — კაცია ეგი?!

— თუ გინდა ბეღურა იყოს! უნდა შეგემჩნია!

— ამხანაგო კოტე, განა შენ არ იცი, ეს ბიჭი კატასავით დაცოცავს, მაგის ფეხებმა ხმაური არ იცის. თვალებითაც ღამით ჭოტივით იყურება. რამდენჯერ გადასულა მტრის ზურგში და ისევ უვნებლად ჩვენთან დაბრუნებულა.

გაბარაშვილმა აღარ იცის როგორ მოიქცეს.

— ბიჭიკო, კი გენდობი, ვიცი მარჯვე ხარ. საიმედო ხარ, — ამბობს ის, — მაგრამ ჯერ კიდევ პატარა ხარ. შვილო. ჩვენ რომ მივდივართ, შენი ისეთ საქმეზე წაყვანა შეუძლებელია. ძალზე პატარა ხარ.

— არა, ბიძია კოტე, მეთოთხმეტე წელში ვარ.

— უფრო სწორად, ცამეტისა ხარ ბალღი ხარ. უნდა გაბრუნდე უკანვე. ამასთანავე, იცოდე, შენ ცუდად მოიქეცი ჩემი ნებართვის გარეშე რომ წამოხვედი. ამისათვის უნდა დაგსაჯო. გათენებამდე აქ უნდა დარჩე, ამ ტყეში დიდი ნადირი არ არის, ტურას და მელებს შენ თვითონ შეაშინებ. როცა გათენდება, ჭიათურაში დაბრუნდები. გესმის?!

მოულოდნელი პასუხი:

— არ მესმის!...

კოტე გაირინდა. ასეთ პასუხს არ მოელოდა.

— ჩვენ რკინის დისციპლინა გვაქვს. — თქვა მან მკაცრად. — დღეს მე მემორჩილება თითოეული თქვენგანი. ჩემი განკარგულება სავალდებულოა. ვბრძანებ! — კოტემ ოდნავ ხმას აუწია: — აქ უნდა დარჩე!

სიჩუმე.

თითქოს ხეებიც დაემორჩილნენ მკვეთრსა და მკაფიო განკარგულებას — ფოთლების შრიალი ოდნავ შენელდა.

პატარა ტყემალაძე სდუმს, კოტე ჩაფიქრებულია, მან იცის ბიჭის ჯიუტი ხასიათი. საჭიროა სასწრაფოდ რაღაცის მოფიქრება. არალეგალურად მომუშავე რევოლუციონერის საუკეთესო თვისება ისაა, რომ სწრაფად შეეძლოს გადაწყვეტილების მიღება. კოტეც ასეთია სწორედ.

— იცი, რას გეტყვი, შენ აქ აუცილებლად საჭირო ხარ. თუ ჩვენ მოულოდნელად რაიმე დაგვჭირდა, რომელიმე ჩვენგანი შენ შეგატყობინებს, შენ კი აქედან დანიშნულ ადგილზე მიიტან ამბავს — ეს დავალებაა! შესრულებას მოვითხოვ!

ტყემალაძე სდუმს — კოტემ არ იცის ეს დუმილი თანხმობის ნიშანია თუ უარის.

— გათენებისას, თუ არავინ მოგაკითხა, ეს იმის ნიშანი იქნება, რომ ყველაფერი რიგზეა, და საგუშაგოს დატოვებ.

დრო არ ითმენს. კოტეს განკარგულება ლაკონიურია. ტელეგრამის სტილის წინადადება!... მივდივართ. ტყემალაძე რჩება.

დარკვეთის ღამის წყვდიადმა თერთმეტი კაცი ჩაყ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



— ამხანაგო ტყემალაძე. ვიყოთ მეგობრები. ხარიბოვი ვარ...

ლაპა. წინ მიდის კოტე, ძას ფეხის ოდნავ შარიშურზე მიჰყვებიან მებრძოლები.

აჯანყებულთა შტაბის დავალების შესასრულებლად გაბარაშვილმა შაბათი ღამე აირჩია. დაზვერვამ შეგვატყობინა, რომ ჩიხიდან გვარდიელთა ჯგუფს ორი ჩაფი ღვინო ჩამოუვიდა და დღისით წისქვილის სათავეში ჩააწყვეს ჩასაგრილებლად. ვიცით — დალევენ. ეს ჩვენთვის ძალზე ხელსაყრელია. ცნობილია ისიც, რომ მენშევიკების გვარდიელები ღამით შეტევაზე არ გადადიან, საღამოობით, როგორც თვითონ ამბობენ, ღვინით დარდს იქარწყლებენ. გვარდიელები ყველანი მენშევიკური პარტიის წევრებია და პარტიულობით გათამამებულნი დისციპლინას არ არიან შეჩვეული.

უმთვარო ღამეა, ბილიკები წყვდიადში იკარგებიან. დარკვეთიდან საჩხერემდის კარგა მანძილია გასავლელი. მენშევიკებს ღამის პატრული აქვთ შემოღებული. თუ ვინმე შეიარაღებული დაინახეს, პაროლს სთხოვენ. ჩვენ ვიცით ამაღამდელი პაროლი „კოლხიდაა". ყვირილას რომ გადავედით, ცოტა მანძილი გავიარეთ და სამი კაცისაგან შემდგარი პატრული შეგვხვდა.

— შესდექ, ვინა ხარ?!

— ჩვენები ვართ.

— პაროლი!

— „კოლხიდა". ჭიათურიდან გამოგვგზავნეს.

— რამდენი ხართ?

— თერთმეტნი.

გაიარეთ. — არც კი კითხულობენ სად მივდივართ, რისთვის, ვისთან!

მეორე ჯგუფი, დანიშნულ ადგილს რომ ვუახლოვდებოდით, მაშინ შეგვხვდა. კოტემ თვითონ მოასწრო შეკითხვა:

— შესდექ! ვინა ხარ?! პაროლი?

— „კოლხიდა!" — გვიპასუხეს.

გაიარეთ.

დანიშნულ ადგილს მივაღწიეთ.

კოტემ რაზმი გაანაწილა, უფრო ღონივრები თავისთან დაიტოვა. რადგან ტყვიამფრქვევის მოტაცება მას უნდა მოეხდინა. ყველა თავის ადგილას განალაგა, გაანაწილა დავალებები, განმარტა ვის რა უნდა გაეკეთებინა. მოქმედება უნდა ყოფილიყო სწრაფი—სანამ მთვრალი და ძილში მყოფი ჯგუფი ვაშაძისა გონს მოვიდოდა, ტყვიამფრქვევი უნდა მოგვეტაცა და აჯანყებულთა მხარეს გავსულიყავით—გვარდიელებსა და ჩვენს პოზიციებს შორის მანძილი არ იყო დიდი. ხელი უნდა შეეწყო იმ გარემოებასაც, რომ ჩვენს სროლაზე ხაზის პირდაპირ განლაგებული აჯანყებულთა ნაწილი სროლას ასტეხავდა და, თუ შეძლებდა, ჩვენს დასახმარებლად იერიშზეც გადმოვიდოდა. ჩატარდა სწრაფი დაზვერვა. ყველას სძინავს, გუშაგები არ ჩანან. გაღმა მხარეს ჩვენებიც წყნარად არიან, არ უნდათ აგრძნობინონ გვარდიელებს, რომ საბრძოლველად ემზადებიან. მით უმეტეს, მენშევიკებმა იციან, რომ ჩვენ ნაკლებად გვაქვს ვაზნები და უბრალოდ მისი დახარჯვა არ შეგვიძლია.

ოპერაციის დაწყების ნიშანია კოტეს რევოლვერის გასროლა.

რევოლვერის ხმა!

დაიწყო ბრძოლა. ვაშაძე ტყვიამფრქვევთან მიიჭრა. მოასწრო გასროლა. სწორედ ეს არ უნდა მომხდარიყო. ვაშაძემ თუ ტყვიამფრქვევი აამუშავა, მერე მისი წართმე-

ვა შეუძლებელია. წავაგეთ! შეიქნა სროლა, ხმაური. სიბნელეში ვინ სად არის, ვინ ისვრის, საიდან ისვრის - გაუგებარია. აეწყო ტყვიამფრქვევის ჯერი და უცებ, თითქოს სასწაული მოხდაო. შეწყდა.

— ძია კოტე, ნუ გეშინია, ტყვიამფრქვევს ვაზნები აღარ აქვს!—სროლაში მკაფიოდ ისმის კოტეს სახელი. კოტემ იცნო ეს ხმა, მისი სჯერა. ვეფხვივით ეცა ტყვიამფრქვევთან მჯდომ ვაშაძეს და ის მეორე მხარეზე გადაისროლა. დაპირებისამებრ ხაზის პირდაპირ დამდგარი ჩვენი რაზმი წამოგვეშველა. რამდენიმე წუთი და. ტყვიამფრქვევი უკვე ჩვენს ხაზზე აღმოჩნდა. კოტეს ულოცავენ.

მაგრამ რამ დაადუმა ტყვიამფრქვევი ასე მოულოდნელად? როგორ გაფუჭდა? საკვირველია! სამხედრო საქმის მცოდნეები ხელის შეხებით სინჯავენ დეტალებს, გათენებას ელოდებიან. დღის სინათლეზე გარკვევით შეიძლება მიზეზის გაგება. 11 კაციდან ყველა გადარჩა, ოღონდ ორი მებრძოლი მსუბუქათაა დაჭრილი. გათენებამდე გამოირკვა, რომ ტყვიამფრქვევი წესრიგშია, მისი გაჩერების მიზეზი კი პავლე ყოფილა. ის არ დარჩა დარკვეთში, მან კარგად იცოდა კოტეს რაზმის ამოცანა,—კოტეს შეცდომა მოუვიდა: დარკვეთის ტყეში ჯერ მიზანი გააცნო შეკრებილთ და შემდეგ გადათვალა ისინი.

პატარა პავლე იმასაც მიხვდა, რომ კოტეს დავალება — ტყეში გათენებამდე დაცდა—მოგონილი ამბავი იყო მისი თავიდან მოსაცილებლად, ამიტომ მან კოტეს რაზმს შორიახლო სდია. მისი შენიშვნა ხომ არვის შეეძლო. მიპარვაში მას მართლა კატის თვისება ჰქონდა. როცა კოტეს რაზმი დანიშნულ ადგილზე მოვიდა. ის, თითქოს მიწიდან ამოძვრაო, მძინარე ვაშაძის ტყვიამფრქვევთან მიცოცდა.

„სძინავთ გვარდიელებს, ბიძია კოტესაც ეს უნდა!“ — გაიფიქრა პავლემ. მან იცოდა, რომ მისი დახმარება, თუმცა კოტემ ამაზე უარი სთქვა, მაინც საჭირო იყო. ქარქაშიდან დასაკეცი დანა ამოიღო. ის სამართებელივით მახვილია, მისი პატარა ხელები მაგრად არის ჩაკიდებული მის ტარს. სიბნელეში ხელი მოაფათურა. გამზადებული ტყვიამფრქვევის ლენტი ნახა და სწრაფად გადაჭრა. როცა კოტეს ლადიმ მიასწრო ტყვიამფრქვევთან. პავლეს თავისი საქმე უკვე მოთავებული ქონდა. ტყვიამფრქვევის ლენტზე ლულასთან რამდენიმე ვაზნაღა დარჩა გასასროლად: ის ვაზნები იყო სწორედ ვაშაძემ რომ ისროლა.

თენდება. პატარა ბიჭის სახე დილის სინათლეზე თანდათან გარკვეული ხდება, შუბლზე ჩამონადენი სისხლი ემჩნევა, პატარა გაკაწრულიც.

— ტყემალაძე ვინ არის?—იკითხა აჯანყების შტაბიდან მოსულმა შტაბის კაცმა.

— ეს არის, მიუთითა კოტემ პატარა ბიჭზე.

— მე ვარ ბატონო!—წინ წამოდგა ტყემალაძე.

— ამხანაგო ტყემალაძე, ვიყოთ მეგობრები,—ხარიბოვი ვარ,—ხელი ჩამომართვი!—და ვაჟკაცის ხელში პატარა თითები დაიკარგა.

— თოფი არა გაქვს? მიეცით თოფი მებრძოლს!

ბრძანება შესრულებულია.

— თოფის ხმარება ხომ იცი?!

— ვიცი.

— წავიდეთ შტაბში.

* * *

1919 წელია. ივლისის თბილი ღამეა. ტეხისას მთაზე ჭიათურელ კომკავშირელთა არალეგალური კრებაა. გრიშა კუპატაძე კრებას ხსნის. ვანიჩკა კუპატაძე მდივანია.

— კრებას ესწრებიან: ალექსანდრე ვაშაძე. ვალიკო კუპატაძე, დავით ლომაძე თავმჯდომარეობს. შეკრებილთ დღის წესრიგს აცნობს:

— ამხანაგებო, ორი საკითხი გვაქვს დღის წესრიგში.

პირველი —ჭიათურელ კომკავშირელთა მორიგი ამოცანები.

მეორე — არჩევნები.

პირველ საკითხზე მოხსენებისათვის სიტყვა ეძლევა პ ა ვ ლ ე ტ ყ ე მ ა ლ ა ძ ე ს!





ეროვნული ბიბლიოთეკა













გრიგოლ იმედაძე

ნახ. ირ გორდელაძისა

## ახალგაზრდა გვარდია

ჰე, სამშობლოვ, გვზრდიდი შვებით,
გზას გვიშლიდი ვარდიანს
და ამიტომ აღსდგა შენთვის
ახალგაზრდა გვარდია.

მათი ფიცი განა ერთის,
განა ორის ფიცია!
არ შედრკება ჩვენი მკერდი,
ფოლადივით მტკიცეა.

როცა დადგა მწუხრი შავად,
გაჩნდა ბრძოლის ხანძარი,
ყველა გმირმა უშიშარად
მტარვალს დასცა თავზარი.

რა ვუყოთ თუ ბევრის თვალი
ჩაქრა, როგორც სანთელი—
თავზე ადგათ ჩაუმქრალი
უკვდავების ნათელი.

შენთვის ღელავს გული მუდამ,
გზას მივყვებით ვარდიანს;
ვინ დასძლიოს, ისევ აქ ვართ
ახალგაზრდა გვარდია!

ჰე, სამშობლოვ, შემოვკრბებით
გვარდიელთა ტოლები,
თუ დაგჭირდა, ჩვენც მოვკვდებით,
როგორც გმირი ოლეგი.

## სიმღერა

ჩვენ საბჭოთა ბავშვები ვართ
ყვავილები მაისის.
ყველგან ჩვენი ჟრიამული
და ყიჟინა გაისმის.

ჩვენს ღიმილზე დილა დგება,
დილა ტრფობის მთესავი.
თვალს გავახელთ, შუქს შევაფრქვევთ
ვრცელ ტრამალებს მზესავით.

ფეხს გადავდგამთ ბაღნარებში
ხენი რტოებს დახრიან.
მოგრაგანე ქარხნებიდან
ბავშვებს შემოგვძახიან.

ტყეც გვეძახის, მთაც გვეძახის,
ველიც გვიხმობს ცვრიანი
და ხელს მწვანე მარაოსას
გვიქნევს პალმა შრიალით.

მუდამ ახალ სასახელო
ქვეყნის საქმეს შევხარით.
ერთურთს მხარში შევდგომივართ,
ვინ იქნება მკვეხარი.

ჩვენთვის როგორც განთიადი
ნათელია ყოველი,
ყვავილების ქვეყანაში
ჩვენც ვარდებად მოვედით.

ჩვენც ხომ მისთვის გავუზრდივართ
დედის კალთას მადლიანს,
რომ მხარში მხნედ ამოვუდგეთ
ახალგაზრდა გვარდიას!

რომ ვაჟკაცურ მოვიმარჯვოთ,
თუ დაგვჭირდა, მახვილი,
და ლაჟვარდებს ჩამოვხიოთ
ნისლი ჩაბალახივით.

არ იქნება ჩვენი დაღლა,
დავალთ ნათელმფინარი.
დილით, როცა მზე ამოდის,
ჩვენ მას ვხვდებით მღიმარი.

ჩვენ საბჭოთა ბავშვები ვართ—
ყვავილები მაისის.
ყველგან ჩვენი ჟრიამული
და ყიჟინა გაისმის.



# საფეხურიდან საფეხურზე





## რისთვისაა საჭირო საფეხურები

შენ ალბათ ხშირად გჭკამათნია ამხანაგებთან ასეთ საკითხებზე: როგორ შეიძლება გამოიმუშავოს ადამიანმა ნებისყოფა? როგორ შეიძლება გახდეს მამაცი და გულადი? როგორ მოიშალოს ცუდი ჩვევები„ და, რაც მთავარია, როგორ შეიძლება გახდეს ისეთი, როგორიც მას თვითონ სურს?

როგორი ადამიანი გინდა გახდე? ამის შესახებ, შენ პიონერის დაპირებას რომ იძლეოდი, იმ დღესაც ჩაფიქრდებოდი.

„მე, საბჭოთა კავშირის ნორჩი პიონერი, ჩემი ამხანაგების წინაშე საზეიმო დაპირებას ვიძლევი, რომ“...—როცა შენ ამ სიტყვებს წამოთქვამდი, გულმა ძლიერად დაგიწყო ცემა. უცებ მოგინდა რაც შეიძლება მალე გაგეკეთებია რაიმე ძალზე კარგი, ყველასათვის საჭირო საქმე...

მაგრამ როგორ ჩაიდენ ასეთ საქმეს, თუკი შენ ჯერჯერობით ბიჭი ხარ მხოლოდ, ან გოგონა, და დიდ საქმეს არავინ განდობს? არავინ წაგიყვანს შენ მესაზღვრეთა რაზმში, არავინ დაგსვამს ტრაქტორზე და არავინ გახვნევინებს იქ,—კაციშვილს რომ ჯერ ხნული არ გაუვლია.

კაცმა რომ თქვას, სწორადაც მოიქცევიან, თუ არ გაგგზავნიან. რა ვიცით, იქნებ შეშინდე ღამით ტყეში, იქნებ წარმოდგენაც არა გაქვს როგორ აამუშავო ტრაქტორი, იქნებ უბრალო ინსტრუმენტის ხმარებაც კი გიჭირს!

კარგი და, მაშ რა უნდა ჰქნა? გაზრდას უცადო? თუ ახლავე ეცადო გახდე მარჯვე და მამაცი?

უცებ, ერთი ხელის დაკვრით, რა თქმა უნდა, ვერ გახდები ასეთი. მაგრამ ხომ შეიძლება ცოტ-ცოტა ყოველდღიურად წაიწიო წინ, თანდათან მარჯვე და ძლიერი გახდე?

კომკავშირელებმა, პიონერთა უფროსმა მეგობრებმა, გადაწყვიტეს დახმარება გაუწიონ ბავშვებს ამ რთულსა და სერიოზულ საქმეში. მათ გამოიტანეს გადაწყვეტილება, რომელიც შეცვლის და გააუმჯობესებს ათასობით პიონერული რაზმის ცხოვრებას. კომკავშირლებმა დასახეს რას უნდა დაეწაფონ პიონერები, რა უნდა ისწავლონ და რა ჩვევები გამოიმუშაონ. სწორედ ამ მიზნით შემოიღო საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა „ნორჩ პიონერთა საფეხურები“. პირველი საფეხური—III—IV-კლასელი პიონერებისათვის, მეორე საფეხური—V—VI-კლასელი პიონერებისათვის, ხოლო მესამე — უფროსი VII და VIII კლასელებისათვის.

ერთი საფეხურიდან მეორე საფეხურზე გადასასვლელად ყოველ პიონერს ევალება შეასრულოს განსაზღვრული მოთხოვნები კომკავშირისა. ყოველ ახალ საფეხურზე ეს მოთხოვნები თანდათან უფრო სერიოზული და რთული ხდება.

შენ უკვე წაკითხული გექნება, რა თქმა უნდა, „ნორჩ ლენინელში“, ან რადიოთი მოისმენდი „ნორჩ პიონერთა საფეხურების“ შესახებ. მოდი, გავერკვიოთ მის შინაარსში.



ეროვნული ბიბლიოთეკა

## შინ, სკოლაში და საორტულ მოედანზე

შენგან თხოულობენ საზოგადოებრივ სასარგებლო საქმეებში მონაწილეობას. მაგრამ არ იფიქრო, რომ საკმარისია გამოთალო დაფაზე საჩვენებელი ჯოხი, დაიკერო ღილი, დარგო სადმე ნერგი და საქმე ამით გათავდეს. მოთხოვნა ბევრად უფრო სერიოზულია: პიონერს მკრელი თვალი და მარჯვე ხელები უნდა ჰქონდეს, მზვერავივით ყურადღებას იმახვილებდეს და ისე იყურებოდეს ირგვლივ: აბა, პიონერული დახმარება ხომ არსადაა საჭიროო!



ამიტომ, თუ შენ პირველი საფეხურის პიონერი ხარ, გაიგე რა ესაჭიროება შენს კლასს. იქნებ საჩვენებელი ჯოხებია დასამზადებელი, ან რუქებია დასაწებებელი? შეიხედე ცოცხალ კუთხეშიც: ზამთრის სარჩო ხომ არაა მოსამარაგებელი თევზებისა და ციყვებისათვის? სასკოლო ნაკვეთში შეიარე, ეზოს დააკვირდი: რა დიდებული რამ იქნება ყოველმა თქვენგანმა რომ თითო ნერგი დარგოს, ანდა შეერთებული ძალით ყვავილნარი რომ გააშენოთ! ხოლო, ვინ იცის, იქნებ ამჟერად უფრო საჭირო იყოს, არა სკოლაში, არამედ მეზობელ ქუჩაზე გააშენოთ ხეივანი?!

სახლიც არ დაგავიწყდეს და ყურადღებით დააკვირდი შენიანებს რაში შეგიძლია მიეხმარო. შენ ხომ „დედას ბიჭი“ და აზიზ-მაზიზად გაზრდილი არა ხარ, შენ ხომ ძიძა არ გჭირდება, თვითონ მიხედავ შენს თავს, შენს ტანსაცმელს, შენს ფეხსაცმელს და, პირიქით, ოჯახსაც შეეშველები: ჭურჭელს გარეცხავ, ოთახს მიალაგებ. მაგრამ მთავარი ის როდია, ერთი-ორჯერ მორეცხო იატაკი და პიონერული ჩვევების სიაში პლიუსი ჩაიწერო — აქაოდა, ვიცი ეს საქმე და კმარაო! უფრო მნიშვნელოვანი ის იქნება, — ოჯახში რაიმე მოვალეობა იკისრო და რეგულარულად ასრულებდე მას. მაგალითად: დედა რეცხავს, ხოლო სარეცხს შენ აუთოებ ყოველთვის, ეს შენი მოვალეობაა შინ. ან — პურზე და ნავთზე ყოველთვის შენ დადიხარ და ოჯახში სხვას არავის სჭირდება იმაზე ფიქრი, არის თუ არა სადილად პური. ამაზე შენა ხარ პასუხისმგებელი.

მეორე საფეხურზე რომ გადაინაცვლებ, შენ კიდევ უფრო მარჯვე და მოხერხებული გახდები და მეტ სარგებლობას მოუტან სხვებს. მიდი ოქტომბრელთა ჯგუფში, შეიარე მეზობელ საბავშვო ბაღში — ბალღებს ვინ იცის ახალი სათამაშოების გაკეთება სჭირდებათ, მოდელების დამზადება, ან თოჯინებისათვის კაბების შეკერვა, ყურადღებით იყავი საკუთარ სკოლაში. იცი რა მოიფიქრეს ლენინგრადის 210-ე სკოლის მეხუთეკლასელებმა? „მოდით, ვნახოთ, რითი შეგვიძლია სარგებელი მოვუტანოთ ჩვენს სკოლასო!“ — გადაწყვიტეს მათ. სიტყვა და საქმე ერთი ჰქონიათ. რაზმის საბჭო დაზვერვის შტაბად იქცა. რგოლებს გაუნაწილა საქმე, პიონერები მზვერავებად დარიგდნენ სკოლაში. მერედა, რამდენი აღმოაჩინეს საჭირო საქმე, — პიონერთა ხელებს რომ ელოდა!

ქიმიის კაბინეტში ქიმიური ჭურჭელი იყო დასარეცხი და მოგვეხმარეთო სთხოვეს ბავშვებს; გეოგრაფიის კაბინეტში — მაკეტი დაგვიმზადეთო; სასკოლო ბიბლიოთეკაში — წიგნები აგვიკინძეთო; ცეცხლფარეშს ქვანახშირი ქონდა გადასაზიდი. სასადილოში თვითონ შესთავაზეს ქოთნებში ყვავილების გაშენება. რაზმის საბჭომ განიხილა დაზვერვის ყველა ცნობა, გაანაწილა დავალებები და რგოლებში მუშაობა გაჩაღდა. აი, ეს იყო ნამდვილი პიონერული დახმარება!



მეხუთე-მეექვსე კლასში შენ უკვე სკოლის გარეთაც უნდა შეგეძლოს უფრო რთული საქმეების გამოძებნა: საკოლმეურნეო მინდვრებში ბოსტნეულისა და სიმინდის მოყვანა, სარეველების წინააღმდეგ ბრძოლა; უნდა შეგეძლოს შეფობა გაუწიო მწვანე ნარგავებს ქუჩებსა და გზებზე, დახმარება გაუწიო კოლმეურნეობას იხვის, ქათმის, კურდღლის მოშენებაში. შინაც გამოჩნდება უფრო საძნელო საქმეები: ღობისა თუ მესერის შეკეთება, ტანსაცმლის ამოკემსვა, ეზო-კარმიდამოს მოვლა, ბოსტნის მორწყვა.

ამ საფეხურზე არამარტო მიიღებ შრომითს ჩვევებს, არამედ შრომაში გაიწაფები და შეეჩვევი უფროსებთან ერთად დიდსა და სერიოზულ საოჯახო საქმეებში მონაწილეობას.



მეშვიდე და მერვეკლასელთათვის მოთხოვნები კიდევ უფრო სერიოზულია. უფროსი საფეხურის პიონერები კომკავშირელთა ყველაზე უახლოესი თანაშემწენი, ყველა კომკავშირული საქმისა და წამოწყების თანამონაწილენი ხდებიან. ესენი სასკოლო კაბინეტებისათვის არა მაკეტებს, არამედ უკვე ნამდვილ ხელსაწყოებს და ინსტრუმენტებს ამზადებენ; პიონერული ოთახისათვის, ვთქვათ, წიგნის თაროებს რანდავენ და სტენდზე მუ-



ეროვნული ბიბლიოთეკა



შაობენ; უფროსებს მოსავლის აღებაში შეველიან, კომკავშირლებთან ერთად კვირაობით მშენებლობებზე გადიან.

მიაქციე თუ არა ყურადღება მესამე საფეხურისათვის ყველაზე უფრო საგულისხმო მოთხოვნას? უფროსკლასელი პიონერებისაგან კომკავშირი არა მარტო პირად ცოდნასა და პირად მონაწილეობას თხოულობს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, არამედ იმასაც, რომ ჰქონდეთ უნარი თავიანთი ცოდნა და გამოცდილება უმცროსებსაც გადასცენ.

ყოველი პიონერი ძლიერი და მამაცი, მოხერხებული და ამტანიანი უნდა იქნეს. უბრალოდ სირბილი და ხტომა კი არ უნდა ისწავლოს, არამედ ისეთი იქნეს რომ, რა მდგომარეობაშიც არ ჩავარდეს, სულით არ დაეცეს და გამოსავალი იპოვნოს. ჯიუტად და მოთმინებით უნდა ამ თვისებას მოპოება — ამაშიც საფეხურები მოგეხმარება. პირველ საფეხურზე — ისწავლე ჩქარი სირბილი, კარგი ხტომა, თხილამურებით სიარული, თუ ცურვა არა, — წყალში ტივტივი და შესვენება მაინც. შეეჩვიე ლაშქრობებში სიარულს, ზურგჩანთის ჩალაგებას, გზის კომპასით გაგნებას. წინააღმდეგობებისა ნუ შეგეშინდება: ღელეზე მორი გასდე და გადაიარე, თუ შეგცივდა და მოგშივდა — ცეცხლის გაჩაღება, ჩაის ადუღება, ფაფის მოდუღება შეგეძლოს!



მეორე საფეხურზე უკვე შორეულ ლაშქრობებში ივლი, თანაც გზადაგზა ღამისთევით. შეგეძლება გზის არამარტო დღით, არამედ ღამითაც გაგნება მზესა და ვარსკვლავებზე ორიენტაციით, შეგეძლება მცირე მდინარეების გადაცურვა, თხილამურებით ორიოდე კილომეტრის გარბენა.

მესამე საფეხურზე საჭირო გახდება ჩააბარო ყველა ნორმა მედლისათვის — „იყავ მზად შრომისა და თავდაცვისათვის“, მოგიწევს შეჯიბრებებში შენი სკოლის სპორტული ღირსების დაცვა, ისწავლი ცხენოსნობას, ან ველოსიპედის მართვას, ნიჩბის მოსმას, ან იალქნიანი ნავის ტარებას, და კვლავ იგივე მოთხოვნა: მიეხმარე უმცროსებს, შეგეძლოს ჩაატარო მათთან გამამხნევებელი ვარჯიში, სპორტული შეჯიბრება, თუ თამაში.



ბევრ რამეს ახალს გაიგებ გზადაგზა, „საფეხურების“ მოთხოვნათა შესრულებისას. რაღა თქმა უნდა, ყოველ თქვენგანს თავისი საყვარელი საქმე აქვს, ყველას რაღაც უყვარს განსაკუთრებულად: ერთნი სხვებზე უკეთესად სათამაშოებისა და მოდელების კეთებას ისწავლიან, მეორენი — მიჩურინულ საქმეებში დაოსტატდებიან, მესამენი — სპორტსა და ტურიზმს დაეწაფებიან. მაგრამ „საფეხურებში“ არის ისეთი მოთხოვნებიც, რომლებიც ყოველ თქვენგანს თანაბრად დააინტერესებენ და ააღელვებენ.

... თანატოლებთან ერთად, შენ რევოლუციური ბრძოლების ღირსსახსოვარ ადგილებს ინახულებ... მოისმენ ძველ ბოლშევიკთა ნაამბობებს ზამთრის სასახლის აღებაზე, წითელი კავალერიის უშიშარ ლაშქრობებზე, შენ მამათა მხედრულ სიმღერებსაც ისწავლი, და ათინათი რევოლუციური ბრძოლებისა თვალწინ დაგიდგება...

შორეულსა თუ ახლო ლაშქრობებში მიიკითხ-მოიკითხავ გმირებს და ჩაიწერ მათს ბიოგრაფიებს. გაეცნობი ურიცხვ შესანიშნავ უბრალო ადამიანს, ისეთებს, როგორიც შენი მშობლებია, და შენ მიხვდები, რომ უძლეველები ისინი სამშობლოსადმი დიდმა სიყვარულმა გახადა.

გაეცნობი ჩვენი ქვეყნის განვითარების გრანდიოზულ გეგმებს, გაიგებ კომუნიზმის მშენებელთა შესახებ და შენს გულში სამუდამოდ დაისადგურებს სიამაყე აღძრული სამშობლო ქვეყნის, მშობელი ხალხის ღირსებით.

და, უპირველეს ყოვლისა, შენთვის საჭიროა იცოდე როგორ იცხოვრა და იბრძოლა ლენინმა. რა უანდერძა ახალგაზრდობას — აკი შენი პიონერული ორგანიზაციაც ლენინის სახელს ატარებს! იკითხე წიგნები ილიჩის შესახებ, გაეცანი ილიჩის პორტრეტებსა და მისდამი მიძღვნილ მხატვრობას, ნახე ფილმები სადაც მისი ცხოვრებაა ასახული, შეეცადე შეხვდე ადამიანებს, რომლებიც პირადად იცნობდნენ ილიჩს, მასთან ერთად მუშაობდნენ. და შენ მიხვდები რატომ იქცა ილიჩის სახელი ყველა ქვეყნის მშრომელთა დროშად. მიხვდები, თუ რა პატივი და პასუხისმგებლობაა ნორჩი ლენინელის წოდება, რაოდენი ცდაა საჭირო იმისათვის, რომ ღირსეული მემკვიდრე გახდე უკვდავი ლენინური საქმისა.

ახლა ხომ მიხვდი რისთვისაც შემოიღო კომკავშირმა „ნორჩ პიონერთა საფეხურები?!“

## რისგან დავიწყოთ

როგორც კი რაზმეულის საბჭო მიიღებს გადაწყვეტილებას იმის შესახებ, რომ მუშაობა საფეხურების მიხედვით დაიწყოს, — რგოლებმა ცალ-ცალკე მოიყარეთ თავი და



მოითათბირეთ როგორ იმუშავოთ, როგორ შეასრულოთ თქვენი საფეხურის მოთხოვნები, აკი თქვენს სურვილზეა დამოკიდებული თავდაპირველად რითი დაიწყოთ, სახელდობრ რაში გაიწაფოთ, რას დაეუფლოთ ამა თუ იმ მეოთხედში, ამა თუ იმ თვის მანძილზე. მოიფიქრეთ როგორი გეგმა შეიმუშავოთ, რა საქმეები დასახოთ. რგოლის ხელმძღვანელმა თქვენი წინადადება რაზმის საბჭოს გააცნოს და თვითონაც გაიგოს სხვა რგოლებმა რა მოიფიქრეს.

ბევრი რამის გაკეთება, შეერთებული ძალით, მთელ რაზმთან ერთად სჯობია. მაგალითად: ლაშქრობების, შეჯიბრებების, შეკრებების, შეხვედრებისა.

მაგრამ ისეთი საქმეების შესწავლა როგორიცაა წიგნის აკინძვა, დროშებით სიგნალირება, კარვის გაშლა, თეთრეულის გაუთოება, ნამცხვრის ცხობა,—რგოლის შეკრებაზე სჯობია. რგოლის შეკრებაზევე სჯობს განხილვა თუ აზრის გაზიარება წაკითხული წიგნის, მოსმენილი კონცერტის, ნახული სპექტაკლის გარშემო.

რა თქმა უნდა, ბევრ კარგ საქმეში მარტოც გაიწაფები, ბევრ რამეს წრეში ან სექციაში დაეუფლები, მაგრამ, არ დაგავიწყდეს: კარგი ის იქნება,—არა მარტო შენ, შენი რგოლის ყველა წევრიც დაეუფლოს იმავე საქმეებს.

მიაქციე ყურადღება, რომ კომკავშირის ყველა მოთხოვნა ნორჩი პიონერისადმი ეს არის—კოლექტივის მოთხოვნა მისი წევრისადმი. და ეს გასაგებიცაა: მხოლოდ კოლექტივს შეუძლია ქმედითად ჩაერიოს ცხოვრებაში, ნამდვილად გააუმჯობესოს იგი, გამოასწოროს ნაკლოვანებები, გააკეთოს ის, რაც ერთის ძალ-ღონეს ეს აღემატება. კოლექტივთან ერთად მოქმედება, მასთან შეთანხმებული მუშაობა, კოლექტივის საქმისადმი პატივისცემა—აი, მთავარი და უპირველესი რაც საფეხურებმა უნდა შეგვასწავლოს.

ჩვენი რჩევაა, საფეხურებით მუშაობისას დაიმახსოვრე და დაიცავი სამი მთავარი მცნება.

აი, პირველი მათგანი: რაზმისა თუ რგოლის ყოველ ახალ წამოწყებაში საერთო საქმის ნაწილი იკისრე, კოლექტივის ყოველგვარი დავალება სწრაფად და ზუსტად შეასრულე. ნუ დაელოდები, გამომიძახებენ და დამავალებენო, თვითონ ეძებე საქმე რგოლისა თუ რაზმისათვის, თვითონ შესთავაზე იგი ამხანაგებს. შენ ხომ უბრალოდ აღმასრულებელი არა ხარ, შენ ხომ—წევრი ხარ კოლექტივისა!



თუ რაიმე საქმეში სხვაზე ადრე მიაღწიო წარმატებას, ნუ იტრაბახებ და ნუ გაამაყდები. მარტო საკუთარ დამსახურებად ნუ მიითვლი ამას, გახსოვდეს, შენს წარმატებაში ყოველთვის ვინმეს უდევს წილი: ერთმა საჭირო წიგნის წაკითხვა გირჩია, მეორემ ინსტრუმენტის ხმარება გასწავლა, სხვამ, საქმე მოფიქრებული გქონდა, მაგრამ, რაღაც მიგანიშნა, გაგამხნევა, გიბიძგა, და შენც, რაკი თვითონ მიაღწიე, ახლა ამხანაგებს წაეშველე არ ჩამოგრჩენ. ვაშა მას, ვინც წინ მიდის, მაგრამ ცხრაგზის ვაშა მას, ვინც სხვასაც გაიყოლიებს! ეს—მეორე მცნებაა!

და ჰა, მესამე მცნებაც: თუ ესა თუ ის საქმე ხელს არ მოგდევს, უცებ არ გამოგდის, ყურს ნუ ჩამოჰყრი, ნუ შედრკები, მონდომებით ეცადე მიაღწიო შენსას. გამარჯვებას მხოლოდ ასე აღწევენ. ნუ შეგრცხვება დახმარებისათვის სხვას მიმართო, ოღონდ ნურც წარამარა დახმარებისათვის გარბიხარ: ყოველთვის ეცადე, თუ შეგიძლია, თვითონ, დახმარების გარეშე გააკეთო.



## ა ი, მ ი ზ ა ნ ი!

ვინ იქნება მსაჯული, ვინ შეაფასებს შენს მიერ საფეხურთა მოთხოვნების შესრულებას? უპირველეს ყოვლისა—შენი რგოლი. უახლოესი მეგობრები ყოველთვის უკეთ ხედავენ შენს წარმატებასაც და წარუმატებლობასაც. მოგანდო, ვთქვათ, რგოლმა შეასწავლო ოქტომბრელებს სადღესასწაულო სიმღერა, ან დიაფილმი უჩვენო პატარებს—აქ რაიმე განსაკუთრებული შემოწმების გარეშეც კარგად ეცოდინებათ შენს ამხანაგებს, შეასრულე თუ არა მათი დავალება.

მაგრამ შეიძლება, აგრეთვე, სპეციალური შემოწმების მოწყობაც. მაგალითად, მოსახერხებელია მოეწყოს „ჩასათვლელი“ ლაშქრობა მთელი რაზმი[illegible]თვის, შემოწმდეს ვინ უკეთ ჩააწყობს [illegible]ნთას, ყველას შეუძლია თუ არა კარვის გაშლა, ან ორიენტირება ადგილობრივი ნიშნების მიხედვით.



შეიძლება რაზმში გამოფენა მოეწყოს. პიონერები თავიანთი ხელით გაკეთებულ ნივთებს მოიტანენ, რაზმში ყველა ნახავს ვის რა შეუძლია, და ერთმანეთისაგან მაგალითს აიღებენ.

ზოგიერთ რამეზე კი, შესაძლებელია, მხოლოდ სპეციალისტების მსჯავრი გახდეს საჭირო. ასეთ შემთხვევაში შეიძლება კომკავშირული შეფების, პიონერხელმძღვანელების, მშობლების მოწვევა.

თუ რგოლი, რაზმის საბჭო, ან პიონერ-ინსტრუქტორი, გადაწყვიტენ, რომ საფეხურის მორიგი მოთხოვნა შენ უკვე შეასრულე, „პიონერის პირად წიგნაკში“ გაგიჩნდება განსაკუთრებული აღნიშვნა. პირად წიგნაკს რაზმეულის საბჭო გაძლევს. იმავე რაზმეულის საბჭო აწესებს იმას, თუ საფეხურის ამა თუ იმ მოთხოვნას ვინ შეამოწმებს და ვინ იქნება უფლებამოსილი პირად წიგნაკში მისი შესრულება აღნიშნოს.

და აი, დადგება დღე, როცა შენი საფეხურის ყველა მოთხოვნას შეასრულებ! ეს იქნება განსაკუთრებული დღე შენს ცხოვრებაში. შეიკრიბება რაზმი და იმსჯელებს იმაზე, თუ რას მიაღწიე შენ, მისმა წევრმა. მართლა ამაღლდი ერთი საფეხურით თუ არა. საფეხურის მოთხოვნები კი შეასრულე, მაგრამ იყავი თუ არა, ამასთან ერთად კარგი ამხანაგი, იყავი თუ არა კეთილსინდისიერი სწავლასა და შრომაში, უფრთხილდებოდი თუ არა შენი რაზმის, შენი კოლექტივის სახელს. და, თუ შენი ამხანაგები იტყვიან, რომ შენ იცავდი პიონერის კანონებს და კოლექტივის ღირსეული წევრი იყავი, — რაზმეულის საბჭო შემდგომ საფეხურზე გადაგიყვანს და ახალ განმასხვავებელ ნიშანს მოგცემს.

ასე, ამრიგად, შეასრულებ რა კომკავშირის მოთხოვნებს, ამაღლდები რა საფეხურიდან საფეხურზე, შენ შესძლებ შეასრულო მომავალში დაპირება, რომელსაც საზეიმოდ იძლეოდი შენი ამხანაგების წინაშე: „იცხოვრო, ისწავლო და იბრძოლო ისე, როგორც დიდმა ლენინმა გვიანდერძა“.

გაივლის წლები და სამივე საფეხურის მოთხოვნებს შეასრულებ. მაშინ უფროსი ამხანაგები აღიარებენ, რომ შენ უფლებამოსილი ხარ გახდე ახალგაზრდობის საკავშირო ლენინური კავშირის წევრი და მის რიგებში მიგიღებენ.

წარმატებას გისურვებ, ძვირფასო მეგობარო!

ტატიანა კონნიკოვა

ნახატები ე. ამბოკაძისა





სერგეი ესენინი

# ბალადა ოცდაექვსზე



სთქვი, მგოსანო,
სთქვი ახალი ჰანგი!
ზღვისფერია
ჩითი მაღალ ცათა.
ზღვა გუგუნებს,
ჰქუხს კასპიის ჩანგი.
შენც, მგოსანო,
სთქვი ახალი ჰანგი —
ოცდაექვსთა,
ოცდაექვსთა ძმათა.
მათ საფლავებს
ქვიშა წაშლის განა?!
მათ დახვრეტას
დაივიწყებს ხანა?!
უდაბნოთა
ქვიშასა და მტვერში,
სადაც ორასმეშვიდეა
ვერსი,
იქ, იმ ბოძთან,
ნისლებს ჩაუვლია,
ახლა ზღვაზე
დაბალახობს ნისლი,
ფეხზე დგება—
შეხე შაუმიანს!
ჩუ, ჩონჩხების
რაკა-რუკი ისმის:
აგე, კრძევ,
აჩრდილები შორით!
შეხე, იმ ერთს
ოცდახუთნი მიჰყვნენ,
ძვლებს იწმენდენ
დაფორებულს წოლით—

ო, ისინი
ოცდაექვსნი იყვნენ.
ვის შაშხანით
შენგრევია მკერდი,
შუბლნატყვიარს
მისდგომია გვერდით.
ჩურჩულებენ:
„ძმანო, ნისლის ფარდა
გვფარავს ვიდრე,
გავჩნდეთ ბაქოს კართან,
ვნახოთ ბაქო,
ვნახოთ ხაფიცარი
როგორ ცხოვრობს
ადერბაიჯანი“.

. . . . . . . . .
. . . . . . . . . .

ღამე მღვრიე
ნისლით ფარავს არეს,
ცად ნესვივით
მიაგორებს მთვარეს.
ტალღა ტალღას
ეჯიბრება სწრაფი,
ზღვა შრიალებს,
ეხეთქება ნაპირს,
ო, ასეთი
ნისლი იდგა ცაში,
ასეთივე
ღამე იყო მაშინ,
ოდეს ჰქუხდა
ბრიტანელი რისხვით,
თქრიალებდა
ოდეს წმიდა სისხლი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

.კომუნიზმი—
-ყველგან დროშა გახდა.
ამოდუღდა
ურაგანი ხალხთა:
გუთნისდედა
დადგა მუშის გვერდით,
იმპერიას
გადაუდგნენ მკერდით.
იქ, რუსეთში,
მკაცრი მამა ჩვენი,
მჩაგვრელების
რისხვად იდგა ლენინ.
ხოლო აქ კი,
აღმოსავლის კართან,
ჰქუხდა რაზმი
ოცდაექვსთა ძმათა.

ვის არ ახსოვს
სისხლის წვიმით სველი,
ავბედითი
ის თვრამეტი წელი,
მსოფლიოის
ჭურჭუები ოდეს,
ოდეს ადერ-
ბაიჯანის კორდებს,
ოდეს ბაქოს,
ცეცხლისფრთიან ტალღად
გარს ეჯვიენ,
გარს ეხვიენ ალყად.

მძიმე იყო,
მძიმე იყო ხვედრი,
ვერ განუძლო
გაავებულ ქართა,
და დაეცა
და დაემხო მკერდით
მხარე იგი
აღმოსავლის კართან.
მაგრამ, გვესმა
რა კომუნის ბრძოლის,
უმძიმეს და
უსაზარლეს ყოვლის
იყო ხვედრი
ოცდაექვსთა ძმათა.

გამდნარ სანთელს
ჰგავდა ქვიშა იგი...
ქვიშა-ქვიშა,
კრსანოვოდსკის იქით
გაიყვანეს
და, ნატყვიარ მკერდით,
ძირს დაჰფინეს
ერთმანეთის გვერდით.

მათ საფლავებს
ქვიშა წაშლის განა?!
მათ დახვრეტას
დაივიწყებს ხანა?!
უდაბნოთა
ქვიშასა და მტვერში,
სადაც ორასმეშვიდეა
ვერსი,
იქ, იმ ბოძთან,
ნისლებს ჩაუვლია,
ახლა ზღვაზე
დაბალახობს ნისლი,
ფეხზე დგება—
ხედავ შაუმიანს!
ჩუ, ჩონჩხების
რაკა-რუკი ისმის,
აგე, კიდევ,
აჩრდილები შორით!
შეხე, იმ ერთს
ოცდახუთნი მიჰყვნენ,
ძვლებს იწმენდენ
დაფორებულს წოლით —
ო, ისინი
ოცდაექვსნი იყვნენ.

. . . . . . . .



იძენძება
ღამე ცისკრის კართან.
ოცდაექვსთა,
ოცდაექვსთა ძმათა
ბაქოს თავზე
აჩრდილები დადის...
ო, მათ — ჩვენი
სიმღერაც და დარდიც!

ჩუ, ეს განა
ავდრის ხმაურია —
ჯაფარიძე
უსმენს შაუმიანს:
„მართლა ვხედავ,
თუ მატყუებს ბური!
შეხე, ბიჭო,
შეხე, მუშებს—პური!



შეხე, მიწით
შავი ნავთის თქრიალს!
ხომალდები,
ორთქლმავლები ჰქრიან,
და სუყველას
ჯილასავით შვენის
ცეცხლისფერი
ვარსკვლავები ჩვენი“.

უპასუხებს
ჯაფარიძე ასე:
„ეგ ამბავი
გულს სიამით ავსებს.
ძმაო, თვალი
არ გვატყუებს არცერთს —
ჩანს, კავკასი
ხელთ გვიპყრია მარჯვედ“.
ღამე მღვრიე
ნისლით ფარავს არეს,
ცად ნესვივით
მიაგორებს მთვარეს.
ტალღა ტალღას
ეჯიბრება სწრაფი,
ზღვა შრიალებს,
ეხეთქება ნაპირს.
ო. ასეთი
ნისლი იდგა ცაში,
ასეთივე
ღამე იყო მაშინ,
ოდეს ჰქუხდა
ბრიტანელი რისხვით,
თქრიალებდა
ოდეს წმიდა სისხლი.

კომუნიზმი —
ყველგან დროშა გახდა,

ამოდუღდა
ურაგანი ხალხთა,

გუთნისდედა
დადგა მუშის გვერდით,—
იმპერიას
გადაუდგნენ მკერდით.
იქ, რუსეთში,
მკაცრი მამა ჩვენი,
მჩაგვრელების
რისხვად იდგა ლენინ!
ხოლო აქ კი,
აღმოსავლის კართან,
ჰქუხდა რაზმი
ოცდაექვსთა ძმათა.

. . . . . . . . . .

ცა თანდათან
ილებება ლურჯად,
მისწყდა ხმაი
წმიდა აჩრდილების,
ახჩ-კუმისკენ
ბრუნდებიან მუნჯად,
სდუმან
მკერდში
ტყვია-გაჩრილები.
სთქვი, მგოსანო,
სთქვი ახალი ჰანგი!
ზღვისფერია
ჩითი მაღალ ცათა.
ზღვა გუგუნებს,
ჰქუხს კასპიის ჩანგი,
შენც, მგოსანო,
სთქვი ახალი ჰანგი —
ოცდაექვსთა,
ოცდაექვსთა ძმათა.

თარგმნა
მურმან ლებანიძემ



# კომკავშირის 40 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა



დ. ნოდია — კიათურა



გ. ფირცხალავა — გ. კარტოზიას პორტრეტი



მ. ბერძენიშვილი — ქართველი ქალის პორტრეტი.

რომელ თქვენგანს არ უნახავს რუსთაველის პროსპექტზე ცისფრად შეღებილი ლამაზი შენობა—სურათების საქართველოს სახელმწიფო გალერეა. ცოტა ხნის წინათ აქ ამიერკავკასიის მოძმე რესპუბლიკების: საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ახალგაზრდა მხატვართა ნამუშევრების გამოფენა გაიხსნა. გამოფენა კომკავშირის 40 წლისთავისადმი იყო მიძღვნილი.

ვინ მოთვლის რამდენი რამ იყო საინტერესო და ამაღელვებელი ამ გამოფენაზე. ყველაზე მეტად კი მნახველს ერთი რამ ხიბლავდა—ახალგაზრდა მხატვართა დაუცხრომელი შემოქმედებითი ძიება.

ბევრ თქვენგანს უნახავს ალბათ გურამ გელოვანის ფერწერული ტილო «ახალგაზრდობა»... გოგონები ეს-ეს არის ამოსულან ზღვიდან და ტანს იმშრალებენ, ზღვის ლურჯი წყალი და მზე, სინათლის ოქროვანი ციალი...

რამდენი რამ შეუძლია მხატვრის ფუნჯს!

ყურადღებას იპყრობენ ზ. ნიჟარაძის, ჯ. ხუნდაძის, ე. კალანდაძის, რ. თურქიას, დ. ხახუტაშვილის, ს. ჩახოიანის ნამუშევრები.

ვინ არ იცნობს «არსენას» ლექსს. ახალგაზრდა მხატვარმა ალექსანდრე ბანძელაძემ სიტყვა ფერში აამეტყველა და «გრაფიკული პოემა» შექმნა ამ შესანიშნავ სახალხო გმირზე. მისმა ამ ნამუშევრებმა დიდი ოქტომბრის 40 წლისთავისადმი მიძღვნილ საკავშირო გამოფენაზე მნახველთა საყოველთაო მოწონება დაიმსახურეს. ხოლო ბრიუსელის მსოფლიო



დ. ერისთავი — „კლასობანა“.



ქ. კალანდაძე — კომკავშირელი გოგონა.



ზ. ლეჟავა. — ილუსტრაცია მოთხრობიდან „სამანიშვილის დედინაცვალი“



ს. საფარიანი - (სომხეთი) — უკანასკნელი ხელყუმბარა.

გამოფენაზე დინარა ნოდიას გრაფიკული ნამუშევრები მოწონებით აღინიშნა.

ხომ გახსოვთ დავით კლდიაშვილის სოლომონ მორბელაძე, მისი სევდიანი სიტყვები: «მაგ წანწალით ვშოულობ, შე დალოცვილო, ორიოდე გროშს»... ზ. ლეჟავას ილუსტრაციებში გუდაფშუტა აზნაურების სწორედ ეს განწირული ხმა ისმის.

გრაფიკოსთა შორის უნდა აღინიშნოს აგრეთვე რ. თარხან-მოურავის ლინოგრავიურები, დ. ერისთავის ჟანრული სურათები და პლაკატები, ლ. ცუცქირიძის, მირზაშვილის ნამუშევრები.

დიდი მოწონება დაიმსახურეს, აგრეთვე მ. ბერძენიშვილის, ნ. მალაზონიას, ო. ჯიშკარიანის, ი. დონდუას, ლ. შენგელიას და სხვათა სადღეკადო პლაკატებმა.

გამოფენაზე ქართული სკულპტურა წარმოდგენილი იყო ე. ამაშუკელის, გ. კორძახიას, ი. და გ. ოჩიაურების, გ. ონიანის, მ. ბერძენიშვილის, ალ. გიორგაძისა და სხვათა სკულპტურული პორტრეტებითა და ფიგურებით.

გამოფენაზე იყო სამოცდახუთი ახალგაზრდა სომეხი მხატვრის ორასამდე ნამუშევარი. გ. ჩუბარიანის, ს. ბაღდასარიანის, ს. ისკანდერიანის სკულპტურული პორტრეტები და კომპოზიციები. ს. მურადიანის, ა. პაპიანის, ლ. კოჯოიანის, ვ. ხორენიანის და სხვათა ფერწერული ტილოები. გრაფიკოსთა შორის უნდა აღინიშნოს პ. კაზარიანის სატირული სურათების სერია.

დიდი მოწონება დაიმსახურა ა. გრიგორიანის ნამუშევრებმა. ტრიპტიხი, ოვანეს თუმანიანის ცნობილი პოემისათვის «ანუში», ამ ახალგაზრდა მხატვრის მაღალ შემოქმედებითს უნარზე მეტყველებს.



გრიგორიანი (სომხეთი)
„შეშლილი ანუში“

აზერბაიჯანის სახვით ხელოვნებას წარსულში არ ჰქონია ისეთი მკაფიო რეალისტური ტრადიციები, როგორც საქართველოსა და სომხეთში. იქ განვითარებული იყო მხოლოდ დეკორატიული და გამოყენებითი ხელოვნება, მინიატურა. დაზგური მხატვრობა, გრაფიკა და სკულპტურა კი მხოლოდ უკანასკნელ ხანს განვითარდა.

ამიტომ გასაგებია ის დიდი ინტერესი, რომელსაც ახალგაზრდა აზერბაიჯანელი მხატვრების: ტ. სალახოვის, ა. ჯაფაროვის, ნ. აბდურახმანოვის, თ. ნარიმანბეკოვის, მ. აბასოვისა და სხვათა ნამუშევრები იწვევენ მნახველში.

სამი მოძმე რესპუბლიკის ახალგაზრდა მხატვართა ნამუშევრების ეს გამოფენა ამიერკავკასიის მხატვართა ცხოვრებაში საყურადღებო მოვლენა იყო.

**ბ. მომიაშვილი**

ფოტორეპროდუქციები შ. ჩხეტიანისა



ა. ჯაფაროვი — (აზერბაიჯანი) - პაკისტანელი ბიჭი.



თ. ნარიმანბეკოვი--(აზერბაიჯანი) — განთიადი კასპიის ზღვაზე.



# ჩვენი ეზო

რევაზ თვარაძე
არჩილ სულაკაური

ნახ. რ. ცუცქირიძისა

## თავი პირველი

მამიდა ნინომ ორჯერ დაუძახა გიგის. პასუხს აღარ დაელოდა, თვალი მოავლო მისთვის გამზადებულ საუზმეს და სამზარეულოში გავიდა, მაგრამ გიგის საუზმისათვის არ ეცალა. მუხლებით სკამზე შემდგარიყო, ფანჯრის რაფას დაყრდნობოდა და ეზოს გადაჰყურებდა: ეზოში ბიჭებს ფეხბურთის თამაში რატომღაც შეეწყვიტათ. ბეჟანს ცალი ფეხი ბურთზე დაედგა და გაბრაზებული ვიღაცას უყვიროდა:

— დადექი გოლში, თორემ!...

ბავშვების ჯგუფს გამოეყო ტანმორჩილი, შავგვრემანი ბიჭი. ქვაზე ჩამოჯდა და მოღუშული მიწას ჩააცქერდა.

„მიტოა! — გაოცდა გიგი. — ნეტა რას ეჩხუბება ის აყლაყუდა?"

სამი დღეა, რაც გიგის ოჯახი ახალ ბინაში გადმოვიდა. გიგიმ უკვე მოასწრო რამდენიმე ბიჭის გაცნობა. ახლა ძალიან უკვირდა, რომ მთელ უბანში სახელგანთქმული მეკარე უარს ამბობდა კარში დადგომაზე.

ბეჟანი ნელი ნაბიჯით მივიდა მიტოსთან, ორივე ხელი მხრებში ჩაავლო, წამოაყენა.

— გცემ, იცოდე!

— ორი გოლი ვითამაშოთ, ისე არ დავდგები... წაილუღლუღა მიტომ და მხრები გაითავისუფლა.

აი თურმე რა ყოფილა! გუშინაც ასე მოხდა: ბიჭები ჯერ კარგად არც კი გახურებულიყვნენ, რომ ბეჟანმა ფეხბურთის თამაში შეწყვიტა — მეზარება სირბილიო: მიტო კარში დააყენა, აქაოდა ბურთი ჩემიაო, თვითონ ურტყამდა, სხვა ბიჭებს კი ბურთზე ფეხს არ აკარებინებდა. გიგი გუშინაც გააბრაზა ბეჟანის საქციელმა და ახლა უხაროდა, რომ მიტო თავგასულ ბეჟანს აღარ დაემორჩილა.

ამ დროს ხუთსართულიან შენობაში მომწყვდეული, ძველი, დაბალი სახლის სარკმელი გაიღო და ყველამ გაიგონა ჩახლეჩილი ხმა:

— დადექი რაღა, შე ოხერო, როცა პატიოსანი კაცი გეუბნება!

ამ ხმის გაგონებაზე მიტო შეკრთა, თავი სარკმლისაკენ შეაბრუნა და, მამინაცვლის—არტემ მექვაბიშვილის სახეს რომ თვალი მოჰკრა, თავჩაღუნული უნდომლად გაემართა კარში დასადგომად.

ბეჟანმა ბურთი წინ გაიგორა და კარში დაარტყა. ბურთმა სულ ახლოს ჩაუარა მიტოს, მაგრამ მას არც კი უცდია აღება.

— აჰა, ვერ მოგართვეს!— გაუხარდა გიგის.

ბეჟანმა დოინჯი შემოიყარა, ერთ ხანს დამცინავად უყურა მეკარეს, შემდეგ მისთვის ჩვეული მხრების რხევითა და ხელების ქნევით მიუახლოვდა,

— რატომ არ გადახტი?—და კისერში წამოჰკრა.

— აგრე, ჰგრე, გენაცვა!... ისევ მოისმა არტემის ჩახლეჩილი ხმა, მაგრამ ეს სიტყვები გიგის აღარ გაუგონია: თვალის დახამხამებაზე ჩაირბინა კიბეები და ეზოში გაჩნდა.

— რატომ სცემ?—აღელვებული შეეკითხა ბეჟანს და წინ გადაეღობა.

ბეჟანმა გაკვირვებისაგან წარბები აზიდა, ერთი ნაბიჯი უკან გადადგა და ტუჩაპრეხილმა დამცინავად ახედ-დახედა „არამკითხე“ გამშველებელს.

— ვაა, ეს ვინ მოფრენილა?

— რატომ სცემ?—გაუმეორა კითხვა გიგიმ.

— იცი, რას გეტყვი? აქედან აუსვი, თორემ ისე გაგაპანღურებ რომ ..

ბიჭებს სიცილი წასკდათ. გიგი უცებ აენთო, სახეზე ცეცხლი მოეკიდა.

— აბა, სცადე, თუ ბიჭი ხარ!...

ბეჟანმა ბიჭებს გადახედა ისეთი გამომეტყველებით, თითქოს უნდოდა ეთქვა: ერთი ამას დამიხედეთ, რამდენს მიბედავსო. შემდეგ სწრაფად შებრუნდა და გაეშურა სამრეცხაოსაკენ, რომელიც არტემ მექვაბიშვილის დაბალ სახლს მიჰკვროდა.

მას შემდეგ, რაც იქ ძველთაძველი, ერთმანეთზე მიტმასნილი სახლები აიღეს და მათ ადგილას დიდი შენობები ააგეს, სამრეცხაო თავის მოვალეობას აღარ ასრულებდა. იგი გაუქმებული იყო და მექვაბიშვილის სახლთან ერთად განწირული იყო დასანგრევად. ბეჟანმა სამრეცხაოს კარი გააღო, ცალი ფეხი შიგ შედგა და მობრუნდა. სახეზე დამცინავი ღიმილი არ შორდებოდა.

— შემოდი,—უთხრა მშვიდად გიგის.

გიგიმ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, მაგრამ მიტო დაეწია და გააჩერა, რაღაც წასჩურჩულა ყურში.

— შენ, ეი, რას ეჩურჩულები მანდ?!—დაუძახა ბეჟანმა.

— არაფერს,—უპასუხა გაუბედავად.

ნამდვილად კი მიტომ გიგი გააფრთხილა—არ შეჰყვე, თორემ კარს ჩაგიკეტავს და გცემსო. გიგი ერთი წამით შეყოყმანდა.

— ფეხსაცმელი ხომ არ დაგეკრო მიწაზე, გამოადგი ფეხი!

„თუ ჩხუბი უნდა, სამრეცხაოში რატომ შევყავარ?—გაუელვა გიგის,—ნეტავი როგორია სამრეცხაო შიგნით? ალბათ ძალიან ბნელია. შევყვე? რომ არ შევყვე, რა იქნება? არა, მშიშარას დამიძახებს... თან ბიჭებიც აქ არიან, სირცხვილია...“

მან ღრმად ამოისუნთქა და წავიდა სამრეცხაოს ღია კარებისაკენ. კარებთან შეჩერდა, შეყოყმანდა. შემდეგ დირეს გადააბიჯა. ბეჟანმა მას გზა დაუთმო და კარებში გაჩერდა. გიგიმ ოთხი-ხუთი დამპალი საფეხური ჩაიარა, ცემენტის იატაკზე დადგა. მიიხედ-მოიხედა და ნახევრადბნელში ვერაფერი გაარჩია. ოთახს მხოლოდ ერთი ფანჯარა ჰქონდა, ისეც იმდენად მტვრიანი და ჭუჭყიანი იყო, რომ სინათლეს თითქმის არც ატარებდა.

ბეჟანმა ბიჭებს ერთხელაც გადახედა, ანიშნა—ახლავე სეირს გაჩვენებთო, და კარი მიიხურა. ბიჭები ფანჯარას ეცნენ.

როცა ბეჟანი რომელიმე მათგანზე გაბრაზდებოდა და ცემას დაუპირებდა, მუქარით წაათრევდა ხოლმე სამრეცხაოსაკენ. მაგრამ ბიჭებს ძალიან ეშინოდათ ბნელ ოთახში ბეჟანთან მარტო დარჩენისა, ეგონათ—იქიდან ცოცხალი ველარ გამოვიდოდნენ. გიგი პირველი იყო, რომელიც შიგ შეჰყვა და ახლა ყველას უნდოდა საკუთარი თვალით ენახა, რა მოხდებოდა.

მაგრამ თავს ამაოდ იკლავდნენ, ტყუილად სწევდნენ და ექაჩებოდნენ ერთმანეთს—ფანჯრიდან არაფერი ჩანდა; კარის გაღებას კი ვერც ერთი ვერ ბედავდა.

— ბიჭებო, მივეშველოთ გიგის, თორემ მოკლავს!—ამოიკნავლა მიტომ. იგი ისე მაგრად იყო კედელთან მიჭყლეტილი, რომ თავისი ხმა სხვისად მოეჩვენა.

უცებ კარი გაიღო. ბიჭები ფანჯარას მოწყდნენ, მაგრამ ვერც ერთმა ვერ მოასწრო სამრეცხაოში შეხედვა. კარი ხელახლა დაიხურა. აშკარა იყო, შიგ მყოფთაგან ერთი ცდილობდა გარეთ გამოვარდნას და მეორე არ ანებებდა.

გარეთ გამოვარდნას ალბათ გიგი ცდილობდა—ასე ფიქრობდა ყველა.

## თავი მეორე

მარტო გიგი არ ყოფილა ეზოში მომხდარი უსამართლობის მოწმე. არტემ მექვაბიშვილის ფანჯრის პირდაპირ, ახალ შენობაში ცხოვრობდა მარტოხელა კაცი—ლევან კილაძე, უნივერსიტეტის პროფესორი. ბავშვები მას ძია ლევანს ეძახდნენ.

ძია ლევანს ერთი „სისუსტე“ სჭირდა: არ შეეძლო ფეხბურთის თამაშისათვის გულგრილად ეყურებინა.

გამოჩენილ მეცნიერთა სახელებთან ერთად. მან ზეპირად იცოდა თითქმის ყველა ცნობილი ფეხბურთელის სპორტული ბიოგრაფია. მუდამ გატაცებით ლაპარაკობდა ფეხბურთის შესახებ. ძია ლევანი თითქმის ერთადერთი იყო, რომელიც ბიჭებს ფეხბურთის თამაშს არ უშლიდა. პირიქით: როდესაც ბიჭები ორ გუნდად გაიყოფოდნენ და თამაშს დაიწყებდნენ, იგი ფანჯარას მიუჯდებოდა ხოლმე და, მეზობლებს რომ არ დაენახათ, მოფარებული დიდხანს უმზერდა საყვარელ სანახაობას.

დღესაც ასე იყო: ლექციების შემდეგ ძია ლევანი უნივერსიტეტიდან დაბრუნდა, ისაუზმა და ეზოში ყიჟინაც გაისმა. მან იცოდა, რომ ამ დროს ბიჭები ფეხბურთის თამაშს იწყებდნენ.

ძია ლევანი, ჩვეულებისამებრ, თავის სავარძელში მოკალათდა, მაგრამ სიამოვნება დიდხანს არ დასცალდა — ბეჟანმა თამაში ჩაშალა.

უკმაყოფილო ძია ლევანი ფანჯარას მოსცილდა, საწერ მაგიდას მიუჯდა და სქელტანიანი წიგნი გადაშალა. რამდენიმე გვერდი ჩაიკითხა და ავტოკალამი მოიმარჯვა, რათა რვეულში შენიშვნები ჩაეწერა.

უეცრად კარი ხმაურით გაიღო. ოთახში ნანა შემოიჭრა.

— ძია ლევან, ჩქარა, ჩქარა... უშველეთ!

— რა მოხდა, ნანა, ვის ვუშველო?

— გიგის!... ბეჟანმა სამრეცხაოში შეიყვანა და სცემს.



— ოჰ, შენ მაინც გაჩუმდი, პოპსი! — დატუქსა ფინია სესილიამ.

— გიგის? ვინ არის გიგი?

ჩვენი ახალი მეზობელი... გიგი... ჩქარა, ძია ლევან, ჩქარა!.. — თქვა ნანამ და სწრაფად გაუჩინარდა კარებში.

ძია ლევანმა ეჭვის თვალი გააყოლა ნანას, მაგრამ მაინც მივიდა ფანჯარასთან და ეზოში გადაიხედა. სამრეცხაოსთან ბიჭები საეჭვოდ შექუჩულიყვნენ.

— არა, აქ მართლა რაღაც ამბავია! — ჩაილაპარაკა თავისთვის და ოთახიდან გავიდა.

ამ დროს სამრეცხაოს კარი გაიღო და გარეთ გამოიჭრა ტანისამოსშემოხეული გიგი. ისე იყო დაღლილი, სულს ძლივს ითქვამდა. ბიჭებმა იმ წუთშივე შეამჩნიეს, რომ მარცხენა თვალის უპე დალურჯებოდა.

— ხომ ვამბობდი... — ნიკას სიტყვა პირში შეაშრა: სამრეცხაოს კარებში გამოჩნდა ასევე ტანისამოსშემოხეული, დაღლილი და თვალდალურჯებული ბეჟანი.

ბიჭების გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა.

— სად გარბიხარ, შე მშიშარა!.. — დაუძახა ბეჟანმა მოწინააღმდეგეს, რომელიც განზე გამდგარიყო და ტანსაცმელს იბერტყავდა. ეტყობოდა, ბეჟანს ჩხუბის თავი აღარ ჰქონდა, მაგრამ ბიჭების დასანახად მაინც გულდაგულ მიიწევდა გიგისაკენ.

გიგი ხელახლა მოემზადა საჩხუბრად.

— ყმაწვილებო, ასე როგორ შეიძლება! როგორ არა გრცხვენიათ! თქვენ ხომ ქუჩის ბიჭები არა ხართ?.. — ამ სიტყვებით ჩადგა ძია ლევანი მოჩხუბართა შორის.

ბეჟანი მიხვდა — ძია ლევანი ჩხუბის უფლებას აღარ მოგვცემსო; სწორედ ამიტომ კიდევ უფრო ხმამაღლა ყვიროდა და გიგისაკენ მიიწევდა. ყვირილზე და ხმაურზე ცნობისმოყვარე მეზობლებმა გამოაღეს ფანჯრები და გადმოიხედეს.

— უაღრესად ცუდი ბავშვებია ჩვენს ეზოში, ერთი წუთით არ გაცლიან მოსვენებას! — გასძახა მეზობელს ხმელ-ხმელმა, შავსათვალიანმა ქალმა, რომელსაც ხელში ხასაცილო, გრძელბეწვიანი ფინია ეჭირა. ეს გახლდათ სესილია კოკოჩაშვილი, მოდების ატელიეში მომუშავე ქალი — „ქალბატონი უაღრესად“, როგორც მას თამაზმა შეარქვა; სესილია წინადადებას ისე არ იტყოდა, რომ აჩემებული სიტყვა — „უაღრესად“ — არ ეხმარა.

მეზობელმა „ქალბატონ უაღრესადს“ არაფერი უპასუხა. თავის დაქნევით დაეთანხმა და ღრმად ამოიოხრა, რაც ნიშნავდა: „დიახ, დიახ, ნამდვილად ასეა, მოსვენება აღარა გვაქვს ამ ბავშვებისგანო“.

— მე ის უფრო მიკვირს, ეს უაღრესად განათლებული კაციც რომ ამათში ჩამდგარა და თავის ავტორიტეტს არ უფრთხილდება, — არ ცხრებოდა სესილია.

მეზობელმა ქალმა ისევ ამოიოხრა, რაც ისევ დასტურს ნიშნავდა. ძია ლევანს კი სესილიას სიტყვები არ გაუგონია — მოჩხუბართა გაშველებით იყო გართული. მან ბეჟანს მკლავში მოჰკიდა ხელი, განზე გაიყვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ვაა! მაშ, ჩემი დისშვილი ჩემთან ველარ მოსულა?!



ნა და, რამდენადაც შეეძლო, ტუქსავდა და ემუქრებოდა.

— იცოდე, მილიციაში წაგიყვან, თუ არ დაწყნარდი.

— ვის წაიყვან მილიციაში, უპატრონო ხომ არა გგონია! — გამოექომაგა ბეჟანს ეზოში გამოსული არტემი.

— თითქოს ამ ეზოს ბავშვები აკლდეს, ეს უალრესად უწესო ბიჭიც ემატება აქაურებს! — ყვიროდა თავის ფანჯრიდან სესილია კოკოჩაშვილი. მის ყვირილზე ფინიაც გაანჩხლებულიყო და ყეფდა.

— ვაა, მაშ, ჩემი დისშვილი ჩემთან ველარ მოსულა!?.. — გაშალა ხელები არტემმა. — ისა სჯობია, შენს ძაღლებს და კატებს მოუარო.

— ოჰ, შენ მაინც გაჩუმდი, პოპსი! — დატუქსა ფინია სესილიამ. ძაღლის ყეფა მას ხელს უშლიდა მონაწილეობა მიეღო კამათში. მაგრამ კამათი დიდხანს აღარ გაგრძელებულა. არტემ მექვაბიშვილი ბეჟანთან მივიდა, გაკვირვებულმა აათვალიერა და ჰკითხა:

— გცემეს?

მერე გიგის გახედა და დისშვილი ანუგეშა:

— არა უშავს, შენც მაგრა გიმუშავებია.

ძია ლევანს ყურადღება არ მიუქცევია არტემისათვის. მან გიგის ხელი გადახვია და წაიყვანა სახლისაკენ, საიდანაც მათ შესახვედრად უკვე მორბოდა გულგახეთქილი მამიდა ნინო.

ბიჭებმა თვალი გააყოლეს ახალ მეზობელს. მათი აზრით დღეს გიგიმ წარმოუდგენელი გმირობა ჩაიდინა — ჩხუბში გაუმკლავდა უძლეველ ბეჟანს.

## თავი მესამე

მიტოს გვიანამდე არ დაეძინა. ლოგინში წრიალებდა და ფიქრობდა იმ დღეს მომხდარ ამბებზე. რამდენჯერ ყოფილა ასეთი შემთხვევა, მაგრამ არავის გაუბედავს ბეჟანისათვის წინააღმდეგობის გაწევა. მიტომ დღეს პირველად გაბედა და, გიგი რომ არ მოშველებოდა, ვინ იცის, რა დღეს დააყრიდა ბეჟანი. მიტო კი გადაარჩინა, მაგრამ თვითონ რომ თვალი დაულურჯდა და ტანისამოსი დაეხა! იქნებ ნანობს, რომ ჩხუბში ჩაერია? ან რას ფიქრობს მიტოზე? ნეტავი მალე გათენდეს, რომ მადლობა გადაუხადოს და მისი აზრიც გაიგოს. თუმცა დილით იქნებ ვერც კი ნახოს გიგი, ადრიანად სკოლაშია წასასვლელი. რა კარგი იქნებოდა ერთ სკოლაში რომ სწავლობდნენ... ამ ფიქრებში ჩაეძინა მიტოს.

მეორე დღეს პირველი გაკვეთილი რუსული ენისა ჰქონდათ. მიტო ისევ წუხანდელ ფიქრებში იყო და არაფერი ესმოდა რა ხდებოდა კლასში. მაშინღა გამოერკვა, როდესაც თამარ ვასილის ასულმა საკლასო ჟურნალში მისი გვარი ამოიკითხა:

— ჭანიშვილი.

— ვარ! — ისე ხმამაღლა წამოიყვირა და წამოხტა, რომ მასწავლებელმა სათვალის ზემოდან გაკვირვებით გადმოხედა. შემდეგ თავი გაიქნია, ისევ მოსწავლეთა სიას დაუბრუნდა და ყველასათვის ახალი გვარი ამოიკითხა:

— ყიფიანი.

მოსწავლეებმა ერთმანეთს გადახედეს. ამ გვარისა მათ შორის არავინ იყო.

საკლასო ოთახის კარი გაიღო და კლასის ხელმძღვანელმა, ელენე მასწავლებელმა შემოიყვანა სუფთად ჩაცმული და თმადავარცხნილი ბიჭი, რომელსაც მარცხენა თვალის უპე ოდნავ დალურჯებული ჰქონდა.

— გიგი! — სიხარულისაგან ხმამაღლა წამოსცდა მიტოს.

ყველამ მიტოსკენ მიიხედა, გარდა ელენე მასწავლებლისა. მან დარცხვენილ გიგის ხელი მოჰკიდა და მაგიდასთან მიიყვანა.

— ბავშვებო, დღეიდან გიგი ყიფიანი თქვენს კლასში ირიცხება. აბა, თქვენ იცით, როგორ ამხანაგობასაც გაუწევთ მე ვხედავ, თქვენს შორის გიგის უკვე ნაცნობიც ჰყოლია. მოდი, ისინი ერთ მერხზე დავსხათ... გაბუნია, — მიმართა მასწავლებელმა მიტოს გვერდით მჯდომ მოსწავლეს, — შენ დროებით უკანა მერხზე მოგიხდება გადაჯდომა.

ელენე მასწავლებელმა გიგი მერხამდე მიაცილა, თამარ ვასილის ასულს ბოდიში მოუხადა და კლასიდან გავიდა.

გაკვეთილის დამთავრების ზარი რომ დარეკა, მეექვსე პირველი კლასის მოსწავლეები ჟივილ-ხივილით გაცვივდნენ დერეფანში. საკლასო ოთახში დარჩნენ მხოლოდ გიგი და მიტო. ისინი მერხზე უხერხულად ისხდნენ და არ იცოდნენ, რით დაეწყოთ საუბარი. დუმილი ალბათ კარგა ხანს არ დაირღვეოდა, კლასში რომ ნიკა არ შემოვარდნილიყო; მას უნდოდა მიტო-

სთვის ეცნობებინა ახალი ამბავი: გაკვეთილების დაწყებამდე შენს ქომაგს სკოლაში მოვკარით თვალი და ბეჟანმა თქვა — ნახე რა დღეს დავაყრიო. მაგრამ ერთად მსხდომი გიგი და მიტო რომ დაინახა, გაოცება ველარ დაფარა.

— შენ ამ კლასში ხარ? — მერე უფრო ახლოს მივიდა და შემპარავად ჰკითხა: — თვალი როგორ გაქვს?

— არა უშავს, აღარ მტკივა, — უპასუხა გიგიმ.

— მაშ, დღეს მეორესაც დაგილურჯებს, — ჩაიქირქილა ნიკამ.

ახლაღა მიხვდა გიგი, რომ დასცინოდა ნიკა. არაფერი უთხრა. გიგის ნაცვლად მიტომ ძლივს გასაგონად ამოილუღლუღა ნაწყენი ხმით:

— ბეჟანს უფრო აქვს დალურჯებული!

ნიკამ ცბიერად გადახედა ორივეს და დერეფანში გავარდა. ცოტა ხნის შემდეგ კარებში ისევ შემოჰყო თავი და დაექადნა მიტოს:

— ნახე, თუ ბეჟანს არ ვუთხრა!

ბიჭებს მისთვის ხმა არ გაუციათ. ნიკა კი იდგა და ელოდა, რა შთაბეჭდილებას მოახდენდა მისი ნათქვამი. ნათქვამს არავითარი შთაბეჭდილება არ მოუხდენია და ნიკა იმედგაცრუებული წავიდა თავის კლასისაკენ, სადაც ბეჟანი ეგულებოდა.

ზარი დაირეკა. მეექვსე პირველი კლასის მოსწავლეები თავიანთ ადგილებს იკავებდნენ. მიტო გადაიხარა გიგისაკენ და ჰკითხა:

— გეშინია?

— ვისი?

— ბეჟანის.

— რა აქვს საშიში?!

გიგიმ ეს ისე გულდაჯერებულად თქვა, რომ მიტო დამშვიდდა და აღარაფერი უკითხავს.

## თავი მეოთხე

გიგისა და ბეჟანის ჩხუბის ამბავი სწრაფად მოედო ორივე მეექვსე კლასს. მეექვსე მეორე კლასში, სადაც ბეჟანი და ნიკა სწავლობდნენ, უმეტესობას გაუხარდა ბეჟანის მეტოქის გამოჩენა, მაგრამ დარწმუნებული იყვნენ, დიდ დასვენებაზე ბეჟანი მას სასტიკად გაუსწორდებოდა.

მეექვსე პირველ კლასში კი სხვანაირად ფიქრობდნენ; მათ გიგისგან დაფარულად გადაწყვიტეს: თუ ბეჟანი ისევ დააპირებდა ჩხუბს, საქმეში მთელი კლასი ჩარეულიყო და გამოქომაგებოდნენ ახალ ამხანაგს, რომლის შესახებ მიტომ უკვე ბევრი რამ მოუთხრო მათ.

დადგა დიდი დასვენებაც. მოსწავლეები ეზოში გაგამოეფინენ. გიგი და მიტო დიდი ჭადრის ქვეშ იდგნენ. გიგი გრძნობდა — მისკენ მრავალი თვალი იყო მიპყრობილი, და იცოდა, რომ ეს გუშინდელი ამბით იყო გამოწვეული. ისიც იცოდა, ბეჟანი შეეცდებოდა მასთან შეხვედრას. ოდნავ ღელავდა, თუმცა არაფერს იმჩნევდა. მიტო კი ძნელი საცნობი იყო, გიგის გვერდით ყოფნა ემაყებოდა და საკუთარი თავის რწმენასაც მატებდა.

ეზოში მეექვსეკლასელი ბიჭები ჯგუფ-ჯგუფად დამდგარიყვნენ, ხშირად გადახედავდნენ ხოლმე გიგის და მიტოს. მათ ახლოს ჩაუარეს თამაზმა და რამდენიმე მეხუთეკლასელმა. ისინი მიიმღეროდნენ:

— ბეჟან, ბეჟან, გიგიმ გბეჟა...

სხვა დროს ასეთი ახალი შაირის გაგონება საერთო სიცილ-ხარხარს გამოიწვევდა, ახლა კი მეექვსეკლასელებს შაირებისთვის არ სცხელოდათ — ყველანი რაღაც დიდი ამბის მოლოდინში იყვნენ.

სკოლის შენობიდან ეზოში ბეჟანი და ნიკა გამოვარდნენ. ეტყობოდათ, კარგ გუნებაზე იყვნენ ბეჟანმა ჩაუქროლა შეჯგუფებულ გოგონებს, ერთ მათგანს ხელი ნაწნავში სტაცა და რამდენიმე ნაბიჯი ასე გაარბენინა. შემდეგ ვიღაც უმცროსკლასელს თავიდან ქუდი მოჰგლიჯა და ხეზე შეუგდო. ვიღაცას მხარი გაჰკრა, ვიღაცას ფეხი დაუდო. ასე დარბოდა ბეჟანი ეზოში და, ვისაც მიზანში ამოიღებდა, ცუდ დღეს აყრიდა. ნიკა უკან დასდევდა და მეგობრის ოინებზე გულიანად იცინოდა.

— ბეჟან, ბეჟან, გიგიმ გბეჟა...

გაისმა ეზოს შორეულ კუთხეში. ბეჟანი შეჩერდა, ყური მიუგდო. როცა კიდევ ერთხელ გაიგონა შაირი, ადგილიდან მოწყდა და მომღერლებისაკენ გაექანა. მეხუთეკლასელებმა იგრძნეს — ჩვენი საქმე ცუდად წავაო, სწრაფად გაიფანტნენ და სხვადასხვა მიმართულებით მიიმალნენ.

ყველაზე სწრაფად თამაზი გარბოდა. იგი უფროს მოსწავლეთა შორის გაძვრა-გამოძვრა, აქოშინებული მიიჭრა გიგისთან და მიტოსთან.

— როგორა ხართ, ბიჭებო? — ვითომც აქ არაფერიაო, იკითხა თამაზმა.

მიტოს გაეცინა:

— ჩვენ კარგად ვართ, მაგრამ ბეჟანი რომ მოვიდეს რას აპირებ?

— მოვიდეს რა?! — უდარდელად უპასუხა თამაზმა. სინამდვილეში კი გიგის იმედი ჰქონდა და ამიტომ იყო ასე გულმაგრად. თუ გუშინ მიტო დაიცვა, დღეს მე გამომექომაგებაო, ფიქრობდა თავისთვის.

მართლაც, იმავე წამს გამოჩნდა ბეჟანი. მან შორიდანვე შენიშნა, რომ თამაზი გიგისთან დამდგარიყო, ამიტომ კი აღარ გამოიქცა, ნელი ნაბიჯით წამოვიდა; თითქმის ორ ნაბიჯზე მიუახლოვდა ბიჭებს, გაჩერდა. გიგისკენ არც გაუხედავს, თითქოს იქ არც მდგარიყოს, თამაზს უმზერდა გაბრაზებული.

— რას მღეროდი?! — უთხრა თამაზს.

მეექვსეკლასელებმა ალყა შემოარტყეს ბიჭებს. მათი აზრით უკვე დადგა გადამწყვეტი წუთები. თამაზმა გიგის გადახედა, ასე მოეჩვენა — ბეჟანის მოსვლას არაფრად აგდებსო, გული მოეცა.

— თუ გინდა, ისევ გიმღერებ, — უპასუხა ბეჟანს გამხნევებულმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჰიშკარში ძია ლევანი იდგა და იღიმებოდა.

ბეჟანმა მისკენ გაიწია. მაგრამ თამაზი უკან გადასტა, გიგის ამოეფარა და იქიდან დაუძახა:

— მე რას დამდევ? თუ შნო გაქვს. გიგის ეჩხუბე!

— გიგი ვინ არის, რომ ..

— ვინ არის და ის, ვინც თვალი დაგილურჯა.

— მეც ხომ დავულურჯე...

— დაულურჯე, მაგრამ ვერ სცემე.—მიუგო ნიშნისმოგებით თამაზმა.

გარშემოხვეული ბიჭები თვალს ადევნებდნენ ბეჟანის ყოველ მოძრაობას. ყოველ წამს ელოდნენ—საშინელი რაღაც მოხდებაო. ბეჟანი კი, როგორც ჩანდა, არ აპირებდა ამ საშინელების ჩადენას. იგი მხოლოდ თვალებით ზომავდა გიგის, გადამწყვეტი ნაბიჯის გადადგმა ვერ გაებედა. ასე გავიდა ორიოდე წუთი.

— წამოდი, მიტო, წავიდეთ!—დაარღვია დუმილი გიგიმ. მერე ხელი გადახვია თამაზს: შენც წამოდი.

ბიჭებს იმედი გაუცრუვდათ. გაკვირვებულნი იყვნენ: მათმა უძლეველმა ბეჟანმა ჩხუბს აშკარად თავი აარიდა.

უცებ სკოლის რადიოკვანძი ამუშავდა. მოსწავლე დიქტორი აკადემიურ მოსწრებაზე ლაპარაკობდა. მან გამოაცხადა: მერვე მეორე კლასელმა ლეილა ჰიჰინაძემ ოთხი დღის განმავლობაში ექვსი ხუთიანი მიიღოო. ეზოში მდგარმა მოსწავლეებმა მიიხედ-მოიხედეს, მაგრამ ლეილა ჰიჰინაძე იქ არსად აღმოჩნდა.

— ამხანაგებო ჩვენ გვყავს მეორე „რეკორდსმენიც“ განაგრძობდა დიქტორი, ეს არის მეექვსე მეორე კლასის მოსწავლე ბეჟან კირვალიძე. მანაც ოთხი დღის განმავლობაში მიიღო ექვსი.. —აქ დიქტორი ცოტა ხანს შეყოყმანდა.—ხუთიანი არ გეგონოთ, კირვალიძემ ექვსი ორიანი მიიღო...

ეზოში სიცილი ატყდა, დიქტორის ხმა აღარავის ესმოდა.

ბეჟანი აილეწა, შორიდან გიგის გახედა. გიგი სხვებთან ერთად გულიანად იცინოდა.

ვიღაც უფროსკლასელმა იხუმრა:

—ჯერ სადა ხარ, კვირამდე ათსაც დააგროვებს!

— ეგ კარგია, რომ შეკრიბოს და ოთხზე გაყოს, ოთხი ხუთიანი გამოუვა,—უპასუხა მეორემ.

ამასობაში ზარიც დაირეკა. მოსწავლეები თავთავიანთი კლასებისაკენ გაეშურნენ. როცა ელენე მასწავლებელმა ბეჟანის გვარი ამოიკითხა, მეექვსეკლასელებმა შეამჩნიეს, რომ ბეჟანი მათ შორის აღარ იყო. არავინ იცოდა, სად წავიდა ბეჟანი. იგი არც მეორე და არც მესამე დღეს გამოჩენილა სკოლაში.

## თავი მეხუთე

ბეჟანი არც ჩვენს ეზოში გამოჩენილა თავისი ბურთით. ამის გამო ნიკამ გიგის უსაყვედურა: სულ შენი ბრალია ყველაფერი, თორემ ბეჟანი მოვიდოდა და ბურთს ვითამაშებდით.

— სკოლაში რომ არ დადის, ისიც ჩემი ბრალია?—შეეკითხა გიგი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიკამ ვერაფერი უპასუხა.

ბიჭები შექუჩულიყვნენ არტემ მექვაბიშვილის ბინის კიბესთან, რომელიც შუშაბანდიდან პირდაპირ ეზოში ეშვებოდა. კიბეზე მარტო მიტო იჯდა. იდაყვები მუხლებზე დაეყრდნო, სახე ხელებში ჩაერგო და ისე უსმენდა ამხანაგებს.

— მოდი, ქუჩაში გავიდეთ, - წინადადება მისცა ბიჭებს თამაზმა.

— ქუჩაში რა უნდა გავაკეთოთ!—იკითხა გიგიმ.

— ჰმ, რა უნდა გავაკეთოთ? - გაიღიმა თამაზმა. მერე უფრო ახლოს მივიდა ბიჭებთან და ჩუმი ხმით განაგრძო:—ტრამვაის შევახტეთ. მე ყოველთვის ვახტები ტრამვაის და ერთ გაჩერებას უბილეთოდ მივდივარ. უკან მეორე ტრამვაით ვბრუნდები ხოლმე. შეხტომა ბეჟანმა მასწავლა. მას შეუძლია ხუთი გაჩერებაც გაიაროს კიბეზე ჩამოკიდებულმა. მილიციელის არ ეშინია.

წავიდეთ. წავიდეთ, სულერთია ბურთი არა გვაქვს.— ახმაურდნენ ბიჭები.

გიგიმ აღარ იცოდა რა ექნა.

ბიჭები ბეჟანის ხმამ შეაჩერა. მას თავი შემოეყო ჭიშკარში, სასაცილოდ იღრიჭებოდა, ხელში ბურთი ეჭირა. გიგი მზად იყო გადაეკოცნა ბეჟანი თავის ბურთიანად.

— სადა ხარ, ბეჟან, აქამდე სად დაიკარგე!—ახმაურდნენ ბიჭები.

საქმეები მქონდა, დიდი კაცივით თქვა ბეჟანმა. — თქვენ რა გეკითხებათ, იმავე კილოზე დაუმატა მან.—ვითამაშოთ?—და ბურთი ფეხით მაღლა ააგდო.

ბიჭები აღტაცების ყიჟინით გამოედევნენ ბურთს. შემდეგ ერთ წუთში გაიშალნენ, სათამაშოდ მოემზადნენ.

თქვენ არ გათამაშებთ!—მიმართა ბეჟანმა გიგის და თამაზს, თან ხელით ანიშნა —განზე გადექითო.

გიგის ელდასავით ეცა ეს სიტყვები. იმდენად გაახარა ბეჟანის გამოჩენამ, რომ აღარც ახსოვდა, თუ მასთან ნაჩხუბარი იყო. ეწყინა, განზე გადგა

— ითამაშოს, რა მოხდება, ბეჟან!

— არა! ბურთი ჩემია და ვისაც მინდა, იმას ვათამაშებ.

— თუ გიგიმ არ ითამაშა, არც მე ვითამაშებ,—ხელი ჩაიქნია ვოვამ.

მაშინ, გადი მოედნიდან!

— არც მე ვითამაშებ,—თქვა მიტომ.

— შენც გადი.—დიდხანს არ დაფიქრებულა ბეჟანი.

ვოვამ და მიტომაც დასტოვეს მოედანი.

აღტაცება და ჟრიამული დუმილმა შეცვალა. გიგი, მიტო, თამაზი და ვოვა მექვაბიშვილის კიბეზე ჩამოსხდნენ. მათ ზაური და აჩიკოც მიემატნენ. მოედანზე ექვსნი დარჩნენ: ბეჟანი, ნიკა, მუმუშა, ცანცარა კოლა და ორიც მახლობელ ეზოდან მოსული ბიჭი.

— ჩვენ ვითამაშოთ,—განაცხადა ბეჟანმა.

— ვითამაშოთ,—დაეთანხმა ნიკა.

კიბეზე ჩამომსხდარი ბიჭები ნაღვლიანად ადევნებდნენ თვალს ბურთის თამაშს.

— ბიჭებო,- მიმართა გიგიმ. — ჩემი გულისათვის თქვენ რატომ არ უნდა ითამაშოთ?

ბიჭებმა არაფერი უპასუხეს.

— მაშ, მე შინ წავალ, —წამოდგა გიგი.

— ჩვენც წავალთ.—თქვა ვოვამ.

ბიჭები ერთიანად წამოიშალნენ. გიგის გულის სიღრმეში გაუხარდა ასეთი ერთსულოვნება. გაბრწყინებული თვალებით გადახედა მეგობრებს, რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ არ დასცალდა; მხარზე ვიღაცამ ხელი დაჰკრა. უცებ მობრუნდა.

ბიჭებთან ძია ლევანი მოსულიყო.

— რატომ არ თამაშობთ?—ჰკითხა პროფესორმა ბავშვებს.

— ბეჟანს არ უნდა, რომ გიგიმ და თამაზმა ითამაშონ. თუ ესენი არ ითამაშებენ, არც ჩვენ ვითამაშებთ,—უპასუხა ზაურმა ყველას მაგივრად.

— მერე და, ბეჟანს ვინა ჰკითხავს გიგი და თამაზი ითამაშებენ თუ არა?—გაოცდა ძია ლევანი.

— ბურთი ბეჟანისაა და ვისაც უნდა იმას ათამაშებს.

ძია ლევანმა სათვალე მოიხსნა და თვალები მოხუჭა: მის წინ მდგარ ბიჭებს სათითაოდ დააკვირდა. შემდეგ მოულოდნელად გატრიალდა და ჩქარი ნაბიჯით გაშორდა მათ.

კიბესთან მდგარმა ბიჭებმა რამდენჯერმე გადაწყვიტეს შინ წასულიყვნენ, მაგრამ რატომღაც ყოვნდებოდნენ. ფეხბურთის თამაში ყველას ძალიან უნდოდა. იმედს არ ჰკარგავდნენ—ბეჟანს სინდისი შეაწუხებს, გიგის და თამაზს დაუძახებსო.

და უცებ ეზოში ტყავის წითელი ბურთი შემოგორდა. ბიჭები თვალს არ უჯერებდნენ. ვოვამ რამდენჯერმე მოიფშვნიტა კიდეც თვალები—იქნებ მეჩვენებაო. წითელი, ლამაზი, კარგად გაბერილი ნამდვილი ბურთი კი მაინც მოგორავდა მათკენ.

ბიჭები ადგილიდან არ დაძრულან. გაქვავებულებივით იდგნენ. იქით იყურებოდნენ, საიდანაც ბურთი გამოგორდა. ჭიშკარში ძია ლევანი იდგა და იღიმებოდა.

ითამაშეთ, ბავშვებო, თქვენია!—სთქვა ძია ლევანმა.

ბიჭები ყიჟინით ეცნენ ახალ ბურთს. გუნებაში ათას მადლობას უთვლიდნენ ძია ლევანს. წითელმა ბურთმა, რასაკვირველია, დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ბეჟანს არ უნდოდა თამაშის შეწყვეტა, მაგრამ ახალი ბურთი სასწაულმოქმედი აღმოჩნდა. თამაში შეწყდა და ბეჟანის გარდა ყველა ახალ ბურთს შემოეხვია.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

# მოსწავლეთა საკავშირო




# სპარტაკიადა

ხომ არც ისე პატარაა ჩვენი დედაქალაქი, მაგრამ მაინც ძალზე დაეტყო სტუმრების ჩამოსვლა. ქუჩები, ბაღები, სპორტული მოედნები გაივსო სპორტსმენებით. ტრამვაიში თუ ტროლეიბუსში ყოველწამს ისმოდა უცხო საუბარი. 4000 მოსწავლე ეწვია თბილისს და თბილისელებმაც გულთბილად, ჩვეული სტუმართმოყვარეობით მიიღეს ახალგაზრდა სპორტსმენები. ქალაქის ყველა სპორტული მოედანი მათ ჰქონდათ დათმობილი; საერთო საცხოვრებლები და სასტუმროები მათ განკარგულებაში იყო; ქალაქის ტრანსპორტი უსასყიდლოდ ემსახურებოდა ჩამოსულებს.



წინასწარი შეჯიბრებები ჯერ კიდევ შვიდ აგვისტოს დაიწყო და მაშინვე ცხადი გახდა, რომ ბრძოლა ძალზე დაძაბული იქნებოდა. არც თბილისელებს, არც სტუმრებს ეჭვი არ ეპარებოდათ, რომ გასული წლის ჩემპიონი მოსკოვის გუნდი წელსაც შეინარჩუნებდა პირველობას. აქა-იქ იმასაც ამბობდნენ, უკრაინელი მოსწავლეებიც კარგად არიან მომზადებულნი და პირველობისათვის იბრძოლებენო. ასეთი იყო პროგნოზები. მაგრამ წინასწარმეტყველება სპორტში მეტად არასაიმედოაო, ამბობენ ხშირად, და ეს ამ სპარტაკიადამაც დაამტკიცა.

* * *

17 აგვისტოს სტადიონის უშველებელი ეზო და სავარჯიშო მოედანი აყვავებულ ველს დაემსგავსა. ასობით ჯანმრთელი, მხიარული, ხალისიანი ახალგაზრდა მოედო იქაურობას.

ჰაერში სპორტული მარშის სასიამოვნო მელოდია გაისმა. სტადიონის მაღალ თაღქვეშ დროშები აფრიალდა, — მოედანზე მწყობრად შემოაბიჯა მოსკოვის დელეგაციამ. ასეთია ტრადიცია, გასული წლის ჩემპიონი ხსნის ხოლმე პარადს. მოსკოველების შემდეგ უკრაინელები მოდიან, მათ რუსეთის ფედერაციის გუნდი მოჰყვება...

წითლად, ლურჯად, ნარინჯისფრად ლივლივებს მაისურები. თეთრად ქათქათებს ესტონელ სპორტსმენთა მწკრივები; ველების სურნელება მოაქვს ბელორუსთა მწვანე სამოსს. ბოლოს მოედანზე საქართველოს სპორტსმენები შემოდიან. მხნედ, ლაღად მოაბიჯებენ მასპინძლები.

ტრიბუნაზე ტაშის გრიალია. გუგუნებს სტადიონი. ღელავს, ბობოქრობს მზით გარუჯული 4000 ჯანით სავსე სხეული, ცას სწვდება მათი ომახიანი „ვაშა“. რამდენი სითბოა, რამდენი ურთიერთ სიყვარული ამ შეძახილებში, ამ ტაშისცემაში!

მუსიკის მძლავრ ჰანგში იკარგება ტაში, შეძახილები; აგვისტოს გამჭვირვალე ცის ფონზე ალისფრად ქათქათებს სპარტაკიადის ალამი.

სპარტაკიადა გაიხსნა. სპორტულ მოედნებზე გაიფანტა 4000 სპორტსმენი. მსაჯის სასტვენის ხმა და დაძაბული ბრძოლა მაყურებლებსაც გადაედო.

* * *

სპარტაკიადა ერთდროულად 13 სახეობაში მიმდინარეობს და, რომ გინდოდეს ნახო მძლეოსნები „დინამოს“ სტადიონზე, ფეხბურთელები — „განთიადის“ სტადიონზე, მოცურავეები — საცურაო აუზში, ჩოგბურთელები — სანაპიროს კორტებზე, მართლაც ზღაპრული ფრთები უნდა გამოისხა. მაგრამ მაყურებელი ყოველთვის გრძნობს, სადაა დაძაბული ბრძოლა მოსალოდნელი, და სწორედ იქ იჭრის თავს.



სპარტაკიადის ყველაზე პატარა მონაწილე. მაგიდის ჩოგბურთის ვირტუოზი ლაიმა ბალაშიტე.



ლ. მოსეშვილი. საქართველოს კალათბურთელ ვაჟთა ნაკრები გუნდის კაპიტანი და სული და გული.

გავყევით მაყურებელს და ხალხის ტალღამ კიროვის ბაღში შეგვიყვანა. აქ ახალი მოედანი მოუწყვიათ, ადგილი რომ არ ჰყოფნიათ, მიწა ამოუღიათ, მოედანი ღრმად ჩაუწევიათ ძირს, გარშემო საჯდომები გაუკეთებიათ. აგვისტოს მცხუნვარე მზე უძოს თავს, რომ მოეფარა, ხალხით გაივსო იქაურობა. ვერ დატეულან, გარშემო სახლის სახურავებზე გასულან, ღობეებს მოსდებიან, ხეებზე აცოცებულან. თბილისში ძალიან უყვართ კალათბურთი. ვინ იცის რამდენი „დიდი“ კალათბურთის მოწმეა ჩვენი მაყურებელი. შორს რომ არ წავიდეთ, ახლა ხანს არ იყო ქორქიას და ჯორჯიკიას ვირტუოზულ თამაშს რომ ვუყურებდით! დღეს კი მინდორზე ახალგაზრდობაა. უნდა ნახოთ როგორი აღფრთოვანებულია ხალხი. საქმე მარტო კარგი თამაშში კი არ არის, მაყურებელი ჩვენი განთქმული კალათბურთელების ღირსეულ ცვლას ხედავს მოედანზე. აი, მოსეშვილი — მაღალი, ატლეტური აგებულების კალათბურთელი! თვრამეტი წლისაა, მაგრამ ქორქიას ტყუპის ცალი გეგონებათ; ან ბათუმელი ალტაბაევი, შეუდარებელი დამცველი; ან ქუთაისელი საკანდელიძე, საოცარი მოქნილი, გონიერი მოთამაშე.



გვერდით მოედანზე გოგონები თამაშობენო, გამოაცხადეს, და დიქტორის ხმას ასობით მაყურებელი აჰყვა — მეორე მოედანზე გადაინაცვლა. ყველას აინტერესებს უზბეკეთის გუნდის მოთამაშე, თითქმის ორი მეტრის სიმაღლის ნალიმა სელიმოვა. რამდენიმე ხნის წინ, როდესაც ჩვენს დედაქალაქს ამერიკელი კალათბურთელები ეწვივნენ, თბილისელები განცვიფრებულები შესცქეროდნენ 190 სანტიმეტრის სიმაღლის კალათბურთელ ქალს ბარბარა სეიპსს. რა იცოდნენ მაშინ თბილისელებმა, რომ სულ მალე მასზე მთელი 8 სანტიმეტრით მაღალი გოგონა გამოჩნდებოდა თბილისის მოედანზე. ნალიმა შეჯიბრების წინ „აღმოუჩენიათ“ შორეულ სოფელში, სწრაფად უსწავლებიათ კალათბურთის ანბანი და თბილისში დიდი იმედით წამოუყვანიათ. თუმცა ამჯერად გუნდი ვერ იხსნა დამარცხებისაგან, მაგრამ ეჭვს გარეშეა, მომავალში იგი, ახტაევისა არ იყოს, ოსტატების რისხვად გადაიქცევა.

კალათბურთელთა ასპარეზობა ჩვენი რესპუბლიკის კალათბურთელ ვაჟთა შესანიშნავი გამარჯვებით დამთავრდა, მათ ყველა შეხვედრა მოიგეს.

* * *

სტუდქალაქს რომ გასცილდებით, ვაკეში, პარკის პირდაპირ რამდენიმე მოზრდილი შენობაა. ერთ-ერთ მათგანში, ფიზკულტურის ინსტიტუტის კორპუსში, მაგიდის ჩოგბურთელთა ასპარეზობაა გამართული.

მაღალ, გრილ დარბაზში 6 მაგიდაა დადგმული და ერთდროულად ამდენივე წყვილი იბრძვის. ჩვენი ყურადღება ერთმა მოთამაშემ მიიპყრო: ცეროდენა გოგონა დიდი სისწრაფით იქნევდა ჩოგანს და გუდაპერჩის ბურთს საოცარი სიზუსტით აგზავნიდა მოწინააღმდეგის მხარეზე. ავხედე სადემონსტრაციო დაფას. ეწერა: ლაიმა ბალაშიტე — ლიტვა. იქვე მჯდომ ლიტვის გუნდის წარმომადგენელს გამოველაპარაკე. „ლაიმა ჩვენი გუნდის სული და გულია, — ამბობს იგი, — ათი წლის გოგონას სამი წლის სპორტული სტაჟი აქვს. წელს რესპუბლიკაში მეორე ადგილი დაიკავა, ერთ შეხვედრაში კი ჩეხოსლოვაკიის უძლიერეს ჩოგბურთელს სძლია. ამ შეჯიბრებაზე ჯერ წაუგებლად მიდის“.



ბალდონე რასმა (ლიტვა).



ირმა პლენნე (ესტონეთი)



ლიერველდ არვილი (ლატვია).



ეს საოცარი გოგონა, ჩოგანს რომ აიღებს ხელში, იმწამსვე კარგავს ბავშვის ყველა თვისებას. ისეთი სერიოზული და „ავი“ ხდება, რომ მოწინააღმდეგეს ისღა დარჩენია, დანებების ნიშნად ჩოგანი მაგიდაზე დადოს.





ლიტვის გუნდმა მაგიდის ჩოგბურთში პირველი ადგილი აიღო. ამ გამარჯვებაში სპარტაკიადის ყველაზე პატარა მონაწილემ—ლაიმამ თავისი დიდი წვლილი შეიტანა.

* * *

არ გამართლდა პროგნოზები. 22 აგვისტოს, როდესაც საბოლოოდ დაჯამდა სპარტაკიადის შედეგები, აღმოჩნდა, რომ საქართველოს გუნდს ყველაზე ნაკლები საჯარიმო ქულა ჰქონდა მიღებული. ჩვენს სპორტსმენებს 9 ქულით ჩამორჩნენ უკრაინელები და მეორე ადგილი დაიკავეს. მესამე ადგილი გასული წლის ჩემპიონმა მოსკოვის გუნდმა დაიკავა. ჩვენი რესპუბლიკის მოსწავლეებმა სპარტაკიადის 8 სახეობაში: კალათბურთში, ფრენბურთში (ქალები), ტანვარჯიშში, წყალბურთში, ფეხბურთში პირველი ადგილი დაიკავეს. მომავალ წელს, მინსკში, უკვე საქართველოს სპორტსმენები გახსნიან პარადს, წინ წარუძღვებიან საბჭოთა მოსწავლე სპორტსმენთა კოლონას. საქართველოს მრავალრიცხოვან სპორტის მოყვარულებს მომავალ გამარჯვებათა იმედი აქვთ.

ზურაბ ლეჟავა

ფოტო რ. საამოვისა



უზბეკი კალათბურთელი გოგონა ნალიმა სელიმოვა, რომლის სიმაღლე 198 სანტიმეტრია.

## პაწია ზღაპრები

# სამი ოქროს ქანდაკება

(ინდური ზღაპარი)

ერთმა ფადიშაჰმა თავისი მეზობელი ქვეყნის სულთანს საჩუქრად სამი გარეგნულად სრულიად ერთნაირი შეხედულების, ზომისა და წონის ოქროს ქანდაკება გაუგზავნა და შეუთვალა: ესენი სხვადასხვა ღირებულებისანი არიანო. ასე იმიტომ მოიქცა, რომ სურდა გაეგო, რამდენად ბრძენი იყვნენ სულთანის ქვეშევრდომნი.

ასეთი უცნაური საჩუქრის მიღებამ სულთანი ძლიერ გააოცა, უბრძანა მსახურთ გამოენახათ ქანდაკებათა შორის რაიმე სხვაობა და შედეგი მოეხსენებიათ. მაგრამ მსახურებმა დაათვალიერეს სამივე ქანდაკება და ვერავითარი განსხვავება ვერ ჰპოვეს მათში.

საჩუქრის ამბავი მთელ ქალაქს მოედო. დიდი და პატარა ქანდაკებებზე ლაპარაკობდა. და აი, ციხეში მჯდომმა ვიღაც ღარიბმა ყმაწვილმა სულთანს შეუთვალა: ერთი დამანახე ეგ ქანდაკებები და ხელად მივხვდები რა განსხვავება არის მათ შორისო.

სულთანმა ბრძანა მოეყვანათ ყმაწვილი სასახლეში, მოეტანათ ქანდაკებები და დაედგათ მის წინ. ყმაწვილმა ყოველ მხრიდან დაათვალიერა ისინი და შეამჩნია, რომ სამთავე ქანდაკებას ყურები გახვრეტილი ჰქონდა. როდესაც მან ერთ ქანდაკებას ყურში ჩალის ღერო გაუყარა, ღეროს წვერი პირიდან გამოძვრა. ასე მოექცა მეორე ქანდაკებასაც და ახლა, ღეროს წვერმა მეორე ყურიდან გამოჰყო თავი; მესამე ქანდაკებას კი ჩალის ღერო მთლიანად მკერდში ჩაუვიდა.

მაშინ ყმაწვილმა მოახსენა სულთანს:

— თქვენო უდიდებულესობავ! ამ ქანდაკებებს ისეთივე თავისებურებანი აქვთ, როგორც ადამიანებს: პირველი ქანდაკება იმ კაცსა ჰგავს, ვინც ყურს მოჰკრავს თუ არა რაიმე ამბავს, მაშინვე ქვეყანას მოსდებს, ასეთ ადამიანს არ შეიძლება ენდო, ამიტომ ამ ქანდაკების ფასიც მცირეა. მეორე ქანდაკება იმ ადამიანს მაგონებს, რომელიც სიტყვებს ერთი ყურით ისმენს, მეორედან კი უშვებს. ეს უდარდელი, ფუყე და უსარგებლო ადამიანია; მესამე ქანდაკება კი იმ ადამიანს ჰგავს, რომელიც ყველაფერს, რასაც კი გაიგონებს, გულში იმარხავს. ამიტომ მისი ფასი მაღალია.

სულთანმა მოუსმინა ყმაწვილს და მეტად კმაყოფილი დარჩა. მან თითოეულ ქანდაკებაზე მისი ღირებულების დაწერა ბრძანა და ისე გაუგზავნა ფადიშაჰს. ის ყმაწვილი კი ციხიდან გამოუშვა და თავის ვეზირად გახადა.

თარგმნა ლ. კიკვაძემ

ჩვენი საზღვარგარეთელი

მეგობრები

# სტუმრად ჩეხოსლოვაკელ პიონერებთან

თუ გსურთ გაიგოთ ბედნიერია თუ არა ხალხი, შეხედეთ ბავშვების სახეს!—ამბობს ძველი ანდაზა. ამ სიტყვების ჭეშმარიტებაში ჩვენ კიდევ ერთხელ დავრწმუნდით ბრატისლაველ პიონერებთან სტუმრად ყოფნისას.

ამ დუნაისპირა ქალაქში, რომელშიც თავმოყრილია მთელი სლოვაკიის პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ცხოვრება, სარკესავით მოჩანს ჩეხოსლოვაკელი ხალხის ბედნიერი აწმყო.

ბრატისლავაში შესანიშნავი პიონერთა სასახლეა, იგი კლიმენტ გოტვალდის სახელს ატარებს. „სიხარულისა და შრომის" სასახლეს უწოდებენ მას ბრატისლაველები. ეს სასახლე პიონერებს მხოლოდ 1951 წელს გადასცეს. მემამულეებისა და ბურჟუების ყოფილი სასახლე ხუთ წელიწადში პიონერთა საყვარელი ადგილი გახდა.

„ჩვენ ბედნიერად ვცხოვრობთ და სამშობლო ყველაფერს გვაძლევს იმისათვის, რომ განათლება მივიღოთ... მთელი გულით მადლობას ვუძღვნით ჩვენს მშობლებსა და მასწავლებლებს, ყველა მშრომელს, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტურ პარტიას და მთავრობას იმ დიდი ამაგისათვის, რასაც ისინი ჩვენდამი იჩენენ. პიონერულ ფიცს ვდებთ, რომ პირნათლად ვისწავლით და ვიშრომებთ, რათა რაც შეიძლება ხელი შევუწყოთ ჩვენი სამშობლოს აყვავებას.

ვისწავლით უახლოეს მეგობართაგან, საბჭოთა პიონერებისაგან, განვამტკიცებთ მეგობრობას საბჭოთა ახალგაზრდობასთან".

ამ საზეიმო დაპირებას ჩეხოსლოვაკელი პიონერები პირნათლად ასრულებენ. ამაში კარგად დავრწმუნდით ქართველი ტურისტები, როდესაც ვნახეთ მათი სასახლე, სადაც ორმოცდაათ წრეში 4500 ბავშვია გაერთიანებული.

... ერთ წრეში მუსიკას სწავლობენ, მასწავლებლად კი იცით ვინა ჰყავთ? ევგენი სუხონი—სახელმწიფო პრემიის ლაურეატი.

... მეორე წრეში ტექნიკას ეუფლებიან. ვინ მოთვლის რამდენი ლაზგა და ხელსაწყოა ამ ოთახში. ქალაქის სამრეწველო საწარმოებს არაფერი დაუშურებიათ ბავშვებისათვის.

იქვე ქიმიის, ენისა და ლიტერატურის, მიჩურინელთა, ისტორიისა და გეოგრაფიის წრეებია, სადაც ბავშვები სკოლაში მიღებულ ცოდნას ილრმავებენ.

სასახლეს თავისი ბეჭდვითი ორგანო აქვს. ბავშვებს ძალიან უყვართ თავიანთი გაზეთი, სადაც თვითონვე ათავსებენ ლექსებს, ფელეტონებს, ნარკვევებს და ფოტოსურათებს.

ამ სახლის საქმიანობა საქვეყნოდ არის ცნობილი. ამიტომ მას ბევრი სტუმარი ჰყავს. არასოდეს დამავიწყდება რა გულთბილად მიგვიღეს ბრატისლაველმა პიონერებმა, როგორი სიხარულით მიიღეს ჩვენი საჩუქარი — ალბომი თბილისის ხედებით.

გამომშვიდობებისას ბრატისლაველმა პიონერმა — ლუბა ჩერნიკოვამ მთხოვა მიმეწერა ქართველი პიონერების შესახებ.

ელ. ხოსროევი



ბრატისლავის პიონერთა სასახლეში.

მოკლედ ყველაფერზე

## ბუნებრივი სამზარეულო

აღმოსავლეთ ალჟირის მთებში ერთ-ერთი სოფლის მცხოვრებთ არ ესაჭიროებათ შეშა და ღუმელი საჭმლის დასამზადებლად. ისინი ბუნებრივი სამზარეულოთი სარგებლობენ.

უშველებელ ქვის «ქვაბში» ცხელი წყალი თუხთუხებს. საკმარისია ბალახისაგან დაწნული ბადით ჩაუშვან უმი ხორცი, და რამდენიმე წუთის შემდეგ მოხარშული ხორცი მზად არის, რომელსაც მარილიც გემოზე აქვს. ცხელი წყალი—ხამამ მესკუტინი — შეიცავს ქლოროვან ნატრიუმს (მოხარშულ მარილს). მისი ტემპერატურა კი +90—95 გრადუსს უდრის. ბუნებას სამზარეულოს შესაფერი გაფორმებისთვისაც კი უზრუნია. «ქვაბის» კედლები შეღებილია ჰიგიენური თეთრი ფერის მარილის დანალექებით.

## როგორ სიმაღლეს აღწევენ ზღვის ტალღები

აბსოლუტურად ზუსტი ცნობები ამის შესახებ ჩვენ არა გვაქვს. გამოცდილი კაპიტნები ამტკიცებენ, რომ ტალღებს შეუძლიათ 40 მეტრის სიმაღლეს მიაღწიონ. მრავალრიცხოვანი დაკვირვების შემდეგ ამერიკელმა ოკეანოგრაფებმა გამოიყვანეს ფორმულა, რის მეშვეობითაც შეიძლება გამოვითვალოთ ზღვის ტალღების სიმაღლე. ამ ფორმულის თანახმად ტალღის სიმაღლე 20-ჯერ ნაკლებია, ვიდრე მანძილი, რომელიც ორ მეზობელ ტალღის მწვერვალებს ყოფს.

## გიგანტი პეპლები

ავსტრალიასა და ახალ გვინეიაში ვხვდებით გიგანტ პეპლებს, რომელთა ფრთების სიგანე 26 სანტიმეტრს უდრის. მათი დაჭერა პეპლების საჭერი ბადით შეუძლებელია. ამიტომ სწავლული ენტომოლოგები პეპლებს ქვიშით გატენილი თოფით ჰკლავენ. ჩრდილო ავსტრალიაში მათზე ნადირობენ მშვილდისრებით. პეპლების ხორცს კი პაპუასები საჭმლად ხმარობენ.

## ფრინველთჭამია ობობა

სამხრეთ ინდოჩინეთის ნახევარკუნძულზე, სამხრეთ ამერიკის მხარეში და კუნძულ იავაზე ბინადრობს მსოფლიოში ყველაზე დიდი ფრინველთ-ჭამია ობობა, რომელიც სიგრძით 10—12 სანტიმეტრს აღწევს. მისი ტანი დაფარულია გრძელი, მაგარი ბალნით და აქვს 6—8 თვალი. ამ ობობებს ღლისით სძინავთ. შებინდებისას კი სანადიროდ გამოდიან. ზოგ ფრინველთჭამია ობობას ისეთი მაგარი აბლაბუდა აქვს, რომ 300 გრამ ტვირთს უძლებს. მასში ხშირად [illegible] ხვდებიან ხოლმე არა მარტო მწერები, [illegible] პატარა ჩიტები, ხვლიკები და ბაყაყები. ამიტომაც შეარქვეს ამ ობობას «ფრინველთჭამია». როდესაც იგი თავის აბლაბუდას ქსოვს, ხა[illegible]რებიდან აუცილებლად გამოიტანს «სასიგნალო ძაფს» და ერთ-ერთ თათზე მიიმაგრებს. თუ მსხვერპლი აბლაბუდაზე მოხვდა, მაშინვე ძაფი გაიჭიმება და მოქაჩავს ობობას თათს, რითაც აფრთხილებს — «სადილი მზად არის»

ეროვნული ბიბლიოთეკა



# რანკეს სარკე

აკაკი ბელიაშვილი

ნახ. დ. ხახუტაშვილისა

ზ ღ ა პ ა რ ი

იყო ვინმე რანკე. თავისთავად თვითონ არაფრით არ იყო შესანიშნავი, გარდა იმისა, რომ რანკე ერქვა. სამაგიეროდ შესანიშნავი იყო მისი სარკე. უბრალო სარკე არ გეგონოთ! მასში არეკლილი საგანი გაორდებოდა არა მოჩვენებით, არამედ ნამდვილად. აი, ვთქვათ, დგას თქვენ წინ მაგიდაზე რანკეს სარკე. დავუშვათ, რომ მის წინ დავდგით ოქროს თასი. სარკეში გამოჩნდა მეორე, სრულიად ისეთივე თასი. გაიხედავ, მაგიდაზე მართლა დგას მეორე თასი — ნამდვილი ოქროს თასი, შეიძლება ხელით შეეხო, აიღო, კიდეც გაყიდო, შეგიძლია შიგ ღვინოც კი ჩაასხა, ერთი წვეთიც არ დაიქცევა.

დარწმუნდებით, რომ ამ სარკის მფლობელი შეიძლებოდა უსაზღვროდ გამდიდრებულიყო, მაგრამ რანკე ამ გზით არ წავიდა, რადგან ჭკვიანი კაცი იყო და ფიქრობდა, რომ უშრომლად შეძენილი დიდი სიმდიდრე ზოგჯერ დამღუპველია, მას უნდოდა პატიოსანი შრომით ეცხოვრა და ერჩინა ცოლ-შვილი. ამიტომ სარკეს საიდუმლო უჯრაში ინახავდა, ადრე დილით მიდიოდა სახელოსნოში, რადგანაც ოქრომჭედელი იყო, და შეღამებისას ბრუნდებოდა თავის ბინაში, რაც არაფრით არ ჯობდა სხვა ოქრომჭედლების ბინას. სამაგიეროდ რანკეს ცოლი სჯობდა სილამაზით ყველა ოქრომჭედლის ცოლს, რომლებიც კი ქალაქში ცხოვრობდნენ. რანკე ამითაც კმაყოფილი იყო, მაგრამ ცოლმა კიდევ მეტი მოინდომა. მას უნდოდა ყველაზე ლამაზი და მდიდარიც ყოფილიყო.

ერთხელ ქმარმა ლამაზი საყურეები მოუტანა. ორივე საყურე ოქროსი იყო, ისიც ნამდვილი ოქროსი. ორივე საყურეში ჩასმული იყო თითო ბრილიანტი, ისიც, რა თქმა უნდა, ნამდვილი და არა ყალბი ბრილიანტი.

გახარებულმა ქალმა მეზობელ ოთახში შეირბინა, საყურეები მაშინვე ყურებზე გაიკეთა და, რადგანაც საკუთარი სარკე ვერ იპოვნა, ძებნის დროს ხელში რანკეს სარკე მოჰყვა, მაგიდაზე დადგა და ჩაიხედა...

ასე დაიწყო შფოთის ხანა რანკეს ცხოვრებაში. პირველად არაფერი უჩვეულო არ მომხდარა: რანკეს მეუღლეს მოეწონა საყურეები, თმა შეისწორა, ოთახიდან გავარდა და მეზობლებთან გაიქცა, რაც სრულიად ჩვეულებრივი ამბავია: ყოველი ქალი ცდილობს ახალი კაბა და სამკაული მეზობლებს აჩვენოს. ასეთი იყო რანკეს ცოლიც. შეირბინა ერთთან, შეირბინა მეორესთან, ყველას აჩვენა საყურეები, ყველამ მოუწონა საყურეები და შინ კმაყოფილი დაბრუნდა. მაგრამ, კარებში რომ შეიხედა, გაშეშდა: მისი ქმარი დამშვიდებულად იჯდა ვიღაც უცხო ქალთან — სრულიად ისეთივე ქალთან, როგორიც თვითონ იყო, საყურეებიც მისი მსგავსი ჰქონდა, და ალერსიანი ხმით ებაასებოდა, თან ხელში მისი ხელი ეჭირა.

რანკეს ცოლმა შეჰკივლა და გულშეწუხებული დაეცა. ასე მოუვიდოდა მის ადგილზე ყველა სხვა ქალსაც.

შეიყარნენ მეზობლები. გაოცებისაგან პირდაღებული ქალები და კაცები შესცქეროდნენ ხან რანკეს, ხან მის ცოლებს და ვერაფერი გაეგოთ: ორი სრულიად ერთნაირი გარეგნობის, სიმაღლისა და ჩაცმულობის ქალი იდგა ერთიმეორის გვერდით და თვითონ რანკეს ვერ გაერჩია, რომელი მათგანი იყო მისი მეუღლე.

მძიმე დღე დაადგა საბრალო ოქრომჭედელს. ცოლებისაგან გალანძღული პატიოსანი კაცი მეორე ოთახში გავიდა და სკამზე დაეშვა. მის წინ მაგიდაზე იდგა ჯადოსნური სარკე.

— ახ! — წამოიძახა რანკემ. სხვა არაფერი უთქვამს. მიხვდა, რა ჭირსაც გადაეყარა: უჯრის დაკეტვა დაავიწყდა და ჯადოსნურმა სარკემ მისი ცოლი გააორა! ახლა ერთის ნაცვლად შინ ორი ცოლი უზის, ეს კი ყოველთვის სახიფათოა. რა ქნას?!

სარკე ფრთხილად შეინახა. ჩაფიქრდა. უცბად თავი ასწია. ოთახში გამოვიდა. მოჩხუბარ ცოლებთან მივიდა და დაუწყო მტკიცება, რომ ეს მისდაუნებურად მოხდა,

რომ მის სარკეს ასეთი თვისება აქვს და მასში არ უნდა ჩაეხედათ; რომ ეს მეორე ქალი კი არ არის, არამედ მისი მეუღლის ორეულია... მაგრამ ქალებს ქმრის ახსნა-განმარტებაც არ უნდოდათ, და არც ერთი მათგანი არ ფიქრობდა პირველობის დათმობას.

ასე შეიძინა რანკემ ერთის მაგივრად ორი ცოლი. მისი ოჯახი სულ აფორიაქებული იყო. გათენებიდან დაღამებამდე რანკეს სახლიდან წიოკობის მეტი არაფერი ისმოდა. ოსტატის ცოლსა და მის ორეულს სხვა საქმე არა ჰქონდათ, ან ეძინათ, ან ჩხუბობდნენ. ქალების გაუთავებელმა ჩხუბმა რანკეს სიცოცხლე მოაძულა, და გადაწყვიტა თავის მოკვლა: მდინარეში გადავხტებიო! მაგრამ მდინარე შორს იყო, გზა მწვანე არყის ხეობაში გადიოდა, არყებზე კი მშვენიერი ჩიტები მხიარულად ჟღურტულებდნენ:

— არ მოიკლა თავი, რანკე!
ისევ გიხსნის შენი სარკე!

— მართლა დიდი სისულელეა თავის მოკვლა, როცა ბუნება ასე მშვენიერია! — ამ სიტყვებით ოქრომჭედელმა ტანთ გაიხადა და თავის დახრჩობის ნაცლად მდინარეში იბანავა. თითქოს ზვირთებიც ასე დუდუნებდნენ:

— არ დაიხრჩო თავი რანკე,
გადაგარჩენს შენი სარკე!

— რანაირად უნდა გადამარჩინოს სარკემ? — თავს იტეხდა რანკე ჩაცმის დროსაც და შემდეგაც — მთელ გზაზე, ვიდრე შინ დაბრუნდებოდა. სხვა ვერაფერი მოისაზრა და ბოლოს ასე გადაწყვიტა: მოდი, გავამდიდრებ ამ ქალებს, ავავსებ ოქრო-ვერცხლით, ჭურჭლითა და სამკაულით, — მაშინაც არ დაცხრებიანო?

საღამოს, სახელოსნოდან რომ დაბრუნდა, თავის ოთახში ჩაიკეტა, თან წამოღებული სამაჯურები, საათები, საყურეები, ბეჭდები, თასები, მარგალიტები და ანდამატები ჯიბეებიდან ამოალაგა და სარკის წინ დააწყო. სარკე რომ დახურა, მის უკან დახვავებული აღმოჩნდა სრულიად ისეთივე ძვირფასეულობა, როგორიც სახელოსნოდან წამოიღო. ახლა რანკემ სარკე შემოაბრუნა და მაგიდაზე მესამე გროვა გაჩნდა. ერთი სიტყვით, ნახევარ წუთში მაგიდა განძით აივსო. მაშინ ის წამოდგა, სარკე დამალა, მოჩხუბარ ცოლებს კარი გაუღო და მაგიდაზე მიუთითა:

— ყველაფერი თქვენია, დაინაწილეთ, ოღონდ არ იჩხუბოთ!

ასეთი სიმდიდრის დანახვაზე ორივე ქალს — ოსტატის ცოლსაც და მის ორეულსაც — თვალები აუჭრელდა, ქიშპობა დაიწყეს და შეუდგნენ სიმდიდრის დანაწილებას. სულ ექვსი ერთნაირი გროვა იყო, მაგრამ რადგანაც ექვსივე გროვა წინდახედულმა ოსტატმა ერთიმეორეში აურია, დანაწილებას სამი დღე დასჭირდა და ამ ხნის განმავლობაში რანკეს სახლში მშვიდობა არ დარღვეულა, რადგანაც მოქიშპე ქალებს სადავოდ არ ეცალათ.

მეოთხე დღეს დავა ისევ დაიწყო. ახლა ორივე ქალი მდიდარი იყო, ამიტომ მათმა უკადრისობამაც იმატა და ხმამ კიდევ უარესად.

ისევ გადაწყვიტა რანკემ თავის მოკვლა. მთელი დღე შინ არ დაბრუნებულა, საღამოს ბევრი ხეტიალის შემდეგ ერთი კლდის თავზე ავიდა და უფსკრულში გადაშვება მოინდომა, მაგრამ ისეთი სასიამოვნო საღამო იყო, რომ თვითონ მიცვალებულები ნანობდნენ: ასე მალე რად მივატოვეთ მშვენიერი ქვეყანაო! სადღაც ტოროლა გალობდა, სადღაც მწყემსი ბიჭი მღეროდა, და თვითონ მქუხარე ჩანჩქერი რანკეს უფსკრულებიდან ამოსძახოდა:

— არ მოიკლა თავი, რანკე!
დაამსხვრიე შენი სარკე!



ყველაფერი თქვენია. გაინაწილეთ, ოღონდ არ იჩხუბოთ!



სასამართლოს დარბაზი გაჭედილი იყო. ყველას უნდოდა ენახა მოქიშპე ცოლები, რომლებიც ორი წვეთი წყალივით გავდნენ ერთიმეორეს. ყველას ხიბლავდა სასამართლოს სამ მაგიდაზე დახვავებული საგანძური და ვერავის აეხსნა რანკეს სიმდიდრის საიდუმლოება.

სავარძელში იჯდა ძველი, გამოცდილი, ბაკენბარდებიანი, ნამდვილი მოსამართლე. მაგრამ ამ საქმის გარჩევა მასაც კი გაუჭირდა. მოსამართლის ფაფუკი თითები ხშირ წვერებში გაიხლართა. მისი დიდი ტვინი კი რანკეს საქმეში. იჯდა და ფიქრობდა.

სხდომა შუაღამემდე გაგრძელდა.

უეცრად სასამართლო ადგა და გავიდა. ათი წუთის შემდეგ საერთო დუმილში მოსამართლე კითხულობდა განაჩენს:

«... აღძრული საქმისა გამო მოქალაქე რანკეს ორი ცოლის... და სხვა და სხვა... რომელიც აღმოჩნდა... სასამართლო ექსპერტმა დაადასტურა... და გამომდინარე ყოველივე აქედან სასამართლო ადგენს: პირველი. მთელი საგანძური, რაც რანკეს სახლში აღმოჩნდა, ჩამოერთვას და გადაეცეს სამეფო ხაზინის საკუთრებაში...»

უეცრად სასამართლო სკამიდან გაქრა რანკეს ცოლის ორეული, თითქოს ამ სკამზე არავინ არ მჯდარიყო. იმავე წამს სამივე მაგიდაც დაცარიელდა: განძი სადღაც გაქრა დარბაზი გაკვირვებისაგან გაქვავდა, რანკეს ცოლმა სიხარულისაგან შეჰკივლა, ხოლო ბაკებიან მოსამართლეს ხელიდან განაჩენი დაუვარდა...

როცა ოსტატის მეუღლე შინ მივიდა, მან ნახა სიხარულით სახეგანათებული ქმარი, რომელიც თავისი ჯადოსნური სარკის ნამსხვრევებს ფეხით თელავდა.

ამის შემდეგ რანკეს ოჯახში ისევ ჩამოვარდა მყუდროება, რაც დროებით იქიდან ოქრომ განდევნა. ცოლქმარი დიდხანს ბედნიერად ცხოვრობდა და ორივენი კმაყოფილი იყვნენ იმით, რასაც პატიოსანი შრომით შოულობდნენ.

საერთო დუმილში მოსამართლე კითხულობდა განაჩენს.

მივხვდი! — შესძახა რანკემ ისეთი ხმით, რომ მოპირდაპირე კლდემ ბანი მისცა. იმავე წამს ოსტატი მობრუნდა და შინ გაიქცა.

.. ცოლებს საქმე ფარულად სასამართლოში აღეძრათ ერთი მარგალიტის გამო, რომლის გაყოფა ვერ მოეხერხებინათ და, რადგანაც რანკეს სიმდიდრის საქმე საქვეყნოდ იყო გახმაურებული, სხდომაც საჯაროდ დაენიშნათ.



# გასართობი

## აკროკროსვორდი

1. საბჭოთა კავშირის გმირი; 2. პეტროგრადელი კომკავშირელი, სამოქალაქო ომის გმირი; 3. პროლეტარიატის დიდი ბელადი; 4. გმირი პიონერი, მოკლული კულაკების მიერ; 5. ცნობილი საბავშვო მწერლის სახელი; 6. დიდი მათემატიკოსი; 7. სახალხო




გმირი, გენერალ გრიაზნოვის მკვლელი; 8. გმირი ქალაქი; 9. გმირი ქალაქი; 10. გმირი პარტიზანი ქალი; 11. კომკავშირის საიუბილეო თვე; 12. საქართველოს კომკავშირის ერთ-ერთი ორგანიზატორი; 13. კომკავშირის თაოსნობით აშენებული ქალაქი; 14. კომკავშირული მარშის ტექსტის ავტორი; 15. ცნობილი ძველი რევოლუციონერი; 16. კომკავშირის ძველი გვარდიელი; 17. ქართველი კომკავშირელი, რომელიც გმირულად დაეცა კარპატების მთებში; 18. საბჭოთა კავშირის გმირი; 19. საბავშვო მწერალი; 20. ახალგაზრდული კომუნისტური ორგანიზაცია 1918 წელს; 21. „მოლოდაია გვარდიას“ ერთ-ერთი წევრის სახელი; 22. ცარიცინის დაცვის გმირი, კომკავშირელი; 23. საკ. ალკკ 30 წლისთავთან დაკავშირებით „წითელი დროშის“ ორდენით დაჯილდოებული გმირი ქალაქი; 24. ქართველი რევოლუციონერი; 25. საბჭოთა კავშირის გმირი; 26. კომკავშირელი, რომელმაც წითელი დროშა აafრიალა რაიახსტაგზე ეგოროვთან და ქანთარიასთან ერთად 1945 წლის 9 მაისს; 27. 1919 წლის სოხუმის „სპარტაკელთა წრის“ წევრი; 28. გამოჩენილი სამხედრო ხელმძღვანელი; 29. საბჭოთა კავშირის გმირი; 30. გმირი ქალაქი; 31. კომკავშირული მარშის მუსიკის ავტორი; 32. „მოლოდაია გვარდიას“ ერთ-ერთი წევრი; 33. მგზნებარე ბოლშევიკი, სახალხო ტრიბუნი; 34. გამოჩენილი ქართველი მომღერალი.

აკროკროსვორდის სწორად შედგენის შემდეგ თქვენ მიიღებთ ლოზუნგს.

გ. მერაბიშვილი

## პასუხი „პიონერის“ № 9-ში მოთავსებულ გასართობზე

### პასუხი „კროსვორდზე“

ვერტიკალურად: 1. ქაშვეთი; 2. ბორანი; 3. ვაკე; 4. ტივი; 5. კიროვი; 6. დარიალი; 7. საბა; 8. ზიჩი; 9. „დილა“; 10. კამო.

ჰორიზონტალურად: 11. აშული; 12. გორკი; 13. არაგვისპირელი; 14. გუნია; 15. პესკა; 16. ვარაზი; 17. რიყე; 18. ილია; 19. მეტეხი; 20. ისანი; 21. აკაკი.

### პასუხი „თავსატეხზე“

ა-ჩვე; ბ-ნი; გ-საყ; დ-ვა; ე-რე; ვ-ლი; ზ-სამ; თ-შობ; ი-ლოს; კ-მშ; ლ-ვე; მ-ნი; ნ-ერი; ო-დე; პ-და; ჟ-ქა; რ-ლა; ს-ქი; ტ-ჰა; უ-ლა; ფ-რა; ქ-თბი; ღ-ლი; ყ-სი; შ-ათ; ჩ-ას; ც-ხუ; ძ-თა; წ-სი; ჭ-წლ; ხ-ის; ჯ-ა; ჰ-ა.

ჩვენი საყვარელი სამშობლოს მშვენიერი დედაქალაქი, ჭაღარა თბილისი ათასხუთასი წლისაა.




### პეპლები და ამინდი

ენტომოლოგები ამტკიცებენ, რომ არიან ისეთი პეპლები რომლებიც ზუსტ ხელსაწყოებზე არანაკლებად შეიგრძნობენ ჭექა-ქუხილს წინასწარ, რამდენიმე საათით ადრე, ვიდრე დაიჭექებდეს. ჯერ ისევ მზე კაშკაშებს და ღრუბლის ნაგლეჯიც არსად მოიძებნება, რომ პეპელა ქარისაგან დაცულ ადგილებზე ჯდება — ფარდულის კუთხეში, ხის ფუღუროში — ფრთებს შეიკეცავს და ზის გაუნძრევლად. თუ გააგდებთ, გვერდზე გადაფრინდება და ისევ ძველ ადგილს დაუბრუნდება. თუ დაინახავთ, რომ პეპელა ასე იქცევა, ნუ დაეჭვდებით: ორი-სამი საათის შემდეგ ჭექა-ქუხილი ატყდება.

### არაჩვეულებრივი შეჯახებები

ყოველწლიურად ზღვებსა და ოკეანეებში რვა ათასამდე გემი იღუპება. დაღუპვის მიზეზი უმთავრესად შეჯახებაა...

1952 წელს ინგლისის ორი გემი ტემზაზე ერთმანეთს შეეჯახა ქარხნებიდან გამოშვებული კვამლის გამო.

გასულ წელს ერთი სავაჭრო გემი პორტში დაბრუნებისას უცებ მკვეთრმა ბიძგმა შეარყია. ისეთი შთაბეჭდილება იყო, თითქოს გემი წყალქვეშა კლდეს დაეჯახაო. მანქანები მთელი დაძაბვით მუშაობდნენ, მაგრამ გემი ძლივს იძროდა. ბოლოს გამოირკვა, რომ გემი მძინარე ვეშაპს დაჯახებოდა. ვეშაპის ხორცი მბრუნავ ხრახნს დახვეოდა და გემის სვლა შეუნელებია.

იტალიაში გენუას პორტში ამაზე მეტი უცნაური შეჯახება მოხდა გემს ორთქლმავალი დაეჯახა. დიდი საოკეანო გემი პორტში შემოვიდა. მისი უზარმაზარი ქიმი იმდენად იყო გადმოწეული ხმელეთზე, რომ გადაკეტა რკინიგზა, რომელიც ნაპირს გასდევდა. დაბნეულმა მემანქანემ ორთქლმავლის შეჩერება ვეღარ შეძლო და გაქანებული გემს დაეძგერა.




რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება | ფასი 2 მან.

„ПИОНЕРИ“ детский журнал Центрального Комитета ЛКСМ Грузии и республиканского совета пионерской организации имени В. И. Ленина. №10, 1958. Тбилиси Плеханова, 91. მისამართი: თბილისი, პლეხანოვის პრ. 91. ტელ. 3—81—85.

უე 00970 ტირ. 13.000, ხელმოწერ. დასაბ. 1/X-58 წ. სტამბის შეკვ. № 1024, გამომც. შეკვ. № 1077. საქ. კპ ც. კ-ის გამომცემლობის პ/კომბინატი „კომუნისტი“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტექსტი მ. ფოცხიშვილისა

მუსიკა ო. თაქთაქიშვილისა

# კომკავშირული მგზავრული




ვახარეთ და ვაღალანეთ
მშობლიური მინდვრები,
ჩვენ ბრძოლაში ვიწრთობით და
ჩვენ შრომაში ვიზრდებით.

მისამღერი (2-ჯერ)

კიდევ ბევრი საქმე დაგვრჩა,
კიდევ მრავალს ვაპირებთ:
სინამდვილეს გავაზღაპრებთ,
ზღაპარს გავანამდვილებთ.

მისამღერი (2-ჯერ)

„კომკავშირული მგზავრული" აღინიშნა პირველი პრემიით საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მიერ გამოცხადებულ კონკურსზე.

6.144/209
5.8/119
ეროვნული ბიბლიოთეკა

